645 | 1962 / 2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

მარტი
1962წ. № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა



18 მარტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა!

არჩევნებისათვის მზადება მთელს ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს.

დეპუტატობის კანდიდატებად ხალხმა დაასახელა კომუნიზმის საქმისათვის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტის მოწინავე მუშაკები. დეპუტატობის კანდიდატთა შორის მრავალი ქალია. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ერთ მათგანს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ნევროპათოლოგიის კათედრის გამგეს პროფესორ თამარ ირაკლის ასულ ღლონტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოგილოცავთ

სიხარულით ანთებულო
თვალებო,—
ჩემო დებო! საქართველოს
ქალებო...
რვა მარტია, გაზაფხულით
გამთბარი,
ენძელებით შეიმოსა
მთა-ბარი.
მოგილოცავთ წინსვლას, შრომას
არნახულს!
მოგილოცავთ გამარჯვების
გაზაფხულს!

**შუშანა მგელაძე**

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი

გარეკანის პირველ გვერდზე საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი მ. ჯაფარიძე. ფოტო ს. ლოტოევის

გარეკანის მეოთხე გვერდზე «დილა წიწვიან ტყეში». ფოტოეტიუდი თ. არჩვაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქმრები ცოლების შესახებ

რ ვ ა მარტია. ამ დღეს განსაკუთრებულ პატივს სცემენ ქალებს. ჩვეულებრივ, შეყვარებული ვაჟი ქალიშვილისათვის ყიდულობს ყვავილს, ქმრებს ცოლებისათვის მიაქვთ რაიმე სამახსოვრო, ზოგიც ფიქრობს ცოლს მიართვას რაღაც განსაკუთრებული...



აქ საქმეში ჟურნალი ჩაერია, ინახულა ზოგიერთი ჩვენი სახელოვანი ქალის ქმარი (ცოლისაგან ჩუმად, რა თქმა უნდა), გამოჰკითხა და შეიტყო, რას ფიქრობს ცოლზე, რა მოსწონს მასში ყველაზე უფრო.

* * *

ჩვენ დავდიოდით სოფლებში ორნი. როცა დავიღლებოდით, ის მეყრდნობოდა მკლავზე და ისევ მივდიოდით. ზოგჯერ გვყავდა ერთი ცხენი ორივეს, ზოგჯერ არც ცხენი გვყავდა. უკან ვიტოვებდით ენგურის ხმაურს და გზადაგზა ვკრეფდით ყვავილებს. შენ რომ არ იყო, ამდენს ვერ ვივლიდიო, — მეუბნებოდა ის ხშირად და მაინც ცდილობდა მისი ზურგჩანთა მე არ მეტარებინა.

ხან ლატალში გვიღამდებოდა, ხან ცხუმარში ვათენებდით. ხან ბეჩოს მივაღწევდით მაშინ, როცა ყველაზე მეტად აჭერდა მზე. და ჩვენც ვიკიდებდით მის სხივებს, ვირუჯებოდით.

ზემო სვანეთის მთებში ის ადრეც დადიოდა, სტუდენტობისას. მე მაშინ არ ვიყავი მისი მეგზური. მე მაშინ მხოლოდ შორიდან ვხედავდი და ყოველთვის მინდოდა მისი მეგზურობა. მას მაშინ გარს სხვები ეხვივნენ — თანაკურსელები. ის მაშინ უფრო ბავშვურიც იყო. დაუსრულებლად მოსწონდა ეს ცა, თეთრი მთის წვერები, ყინულივით მდინარე და დაკიდებული ბილიკები. მე მაშინ მხოლოდ ის მიხაროდა, რომ მას ასე ძალიან მოსწონდა ჩემი მხარე, ჩემი მიწა, ჩემი კერის ადგილი. მე მაშინ ფიქრს ჩემთვის ვმალავდი, რომ წამეყვანა იმ ბილიკებით, რომლებსაც ყველაზე კარგად ვიცნობდი, მენახვებინა ძალიან ძველი კოშკები, მენახვებინა ძალიან ახლოს უშბა და თეთნულდი.

ის დადიოდა ჩემს მხარეში მაშინაც, როცა უნივერსიტეტის ასპირანტი იყო, როცა ოცდასამი წლისა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, როცა გამოქვეყნდა მისი გამოკვლევები სვანური ენის ახალი დიალექტებისა და კილოკავების შესწავლის შედეგად.

ჩვენ მერე ერთად დავდიოდით სოფლებში ორნი. როცა დაიღლებოდა, ის არ მეუბნებოდა ამას, მაგრამ მე ვგრძნობდი და ხელს ვაშველებდი. ის მიყურებდა გაფართოებული თვალებით და მე მიკვირდა, რომ მასში არ ილეოდა ის ცნობისმოყვარეობა, რომელმაც პირველად ასე გამაოცა. მე უკეთ ვლაპარაკობდი სვანურად, მან კი იცოდა მეტი დიალექტები. მას უნდოდა სცოდნოდა კიდევ მეტი და ჩვენ ამიტომ გადავდიოდით ლატალიდან ბეჩოში.

ახლა მე აღარ ვნატრობდი მის მეგზურობას. მე ვიყავი მისი თანამგზავრი,



ის იყო ჩემი ახალგაზრდა ცოლი და ჩვენ ორივეს გვქონდა ერთად ყოფნის სიხარული.

სვანები კეთილები არიან. მათ უყვართ ადამიანი, განსაკუთრებით — სტუმარი. მე მათი კუთხის შვილი ვიყავი, მათი ენისა და ადათების მცოდნე. ჩემი ცოლი უცხო იყო, სტუმარი, და მე ვაცნობდი ჩემიანებს, მესტიელებს, ფარელებს ჩემს ახალგაზრდა ცოლს. მათ უხაროდათ, რომ სვანების რძალი ცნობისმოყვარე იყო მათი საუბრის მოსმენისას, ეკითხებოდა ცხოვრების ამბებს, მათთან იჯდა პურის ჭამისას და დღეობებზე. ის კი კარგად არ იცოდნენ, რად ამეორებინებდა ზოგჯერ ერთდაიმავე სიტყვას რამდენჯერმე, რას ინიშნავდა ფანქრით, ან რად განიცდიდა ასე ძალიან ყოველი ახალი სიტყვის გაგონებას.

ზოგჯერ ის გაირინდებოდა, მეგონა აღარ უსმენდა მოსაუბრეს და ვახსენებდი ჩაენიშნა, რაც მისთვის საინტერესო იყო. ის გაიღიმებდა და მაგრძნობინებდა გავჩუმებულიყავი. ახლა მე ვიცოდი, ის იღიმებოდა იმიტომ, რომ მოსაუბრე ყვებოდა სვანური კერის შესახებ. მას უხაროდა, რომ მე, მისი მეგზური, იმ წუთას როგორც ეთნოგრაფი, ვამდიდრებდი ჩემს შრომას ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიის შესახებ.

ჩვენ გვიყვარდა გაზაფხული, რადგანაც მაშინ ზურგჩანთებით გზას ვადგებოდით. ჩვენ გვიყვარს გაზაფხული ახლაც, რადგან გზას თუ არ ვადგივართ, მოგონება მაინც გვიახლდება. ჩვენ ორივემ, მე და თინა შარაშენიძემ, იქ, მთაში ამოვკრიფეთ ხალხში გაბნეული სიმდიდრე. ჩემმა მეუღლემ მეცნიერულ მოღვაწეობას სვანური ენის ღრმა შესწავლა დაუდვა საფუძვლად. მისი სადოქტორო შრომა „ენათა კლასიფიკაციის პრინციპები" დაუღალავი შრომისა და ძიების შედეგია.

სვანეთში ახლაც მიგველიან, მიგველის წვირმი და იელი, სოფლები, მივარდნილნი კლდის პირას — კალა, ადიში... წავალთ? იქნებ ვერ წავიდეთ! და გული გვწყდება, რომ ზოგჯერ თინას ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე მუშაობა უშლის ხელს, ზოგჯერ ენათმეცნიერების ინსტიტუტში ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების გამგის მოვალეობა, ზოგჯერ კი ახალი გზების ძიება, რასაც სრულიად ახალგაზრდა მეცნიერება, მათემატიკური ენათმეცნიერება მოითხოვს.

წავალთ? იქნებ ვერ წავიდეთ!... მაგრამ ვიცით, რომ სვანეთში ახლაც მიგველიან, მიგველის წვირმი და იელი, სოფლები, მივარდნილნი კლდის პირას — კალა, ადიში...

უსათუოდ წავალთ.

* * *

მან ყველაფერი იცის ჩვენზე — ჩემზე და ჩვენს ორ ვაჟიშვილზე. ის ყოველთვის ჩვენთან არის, ჩემთან და ჩვენს ორ ვაჟიშვილთან, მაშინაც კი, როცა ჩვენ ძალიან შორს ვართ მისგან, ან სხვა ქვეყანაში, ან სხვა ქალაქში.

უფროსი ვაჟიშვილი არქეოლოგია, ზაფხულობით ის დადის გათხრებზე და თვეობით არ არის სახლში. მე რომ შინ ვბრუნდები, ველი როდის მეტყვის ჩემი ცოლი ვაჟიშვილის ამბავს. გადის დღეები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდხანს აგვიანდება შვილს. დედა მაინც პოულობს გამართლებას. მიწის გათხრები ზუსტად განსაზღვრულ ვადებში არ შეიძლება მოხდეს, ზოგჯერ შეიძლება გაგრძელდეს ძიება.

ჩამოდის შვილი და ჩვენ ორივეს გვახარებს ის ახალი აღმოჩენები, რასაც შვილი და მისი ამხანაგები აღწევენ.

მერე დედა დაწვრილებით იგებს შვილისგან, რომელი საუკუნის ძეგლები

ამისოდ კარგი პირობებია, რომ რევაზი უსათუოდ იტყვის ახალ სიტყვას, რადგანაც მან სტუდენტობიდანვე დაიწყო დაკვირვება სუფრის ჯიშებზე.

ჩვენი საუბრისას რევაზის შვილი ატირდება. ბებია მიდის შვილიშვილთან. მე წასასვლელად მოვემზადები და ქეთევანი კარებში ჩემს გაცილებას მაინც ახერხებს. ასე მაცილებს ის ოცდათხუთმეტი წელია და ამდენივე წელი ყოველდღე ელის ჩემს დაბრუნებას. საღამოს კარებს უსათუოდ თვითონ მიღებს, მახვედრებს სითბოს, სიწყნარეს. მერე იმდღევანდელ ამბებს გამომკითხავს.

ის კარგად იცნობს ჩემს მიერ შედგენილ ვაზის კოლექციას, იცის ჩემს მიერ გამოყვანილი ვაზის ოცდაოთხივე ახალი ჯიში, ის ხშირად დამყვება კოლმეურნეობებში მევენახეებთან და ჩვენს საუბრებს ხშირად ისმენს. მე ვფიქრობ, რომ მისგან კარგი აგრონომი დადგებოდა, თუმცა იმასაც ვფიქრობ, რომ ბევრი, რაც აგრონომს სჭირდება, მან უკვე



აღმოაჩინეს, რა მნიშვნელობა აქვს ამ აღმოჩენებს საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. დედა უფრო მეტხანს ჩერდება შვილის სახელმძღვანელოებთან, ათვალიერებს მის სადისერტაციო შრომას.

მეორე ვაჟიშვილი აგრონომია. მან ჩემი პროფესია აირჩია და ყველაზე მეტად ეს მგონი დედას გაეხარდა. ჩვეულებრივ, ის დადის ოთახიდან ოთახში, ფერთხავს, ალაგებს, ასუფთავებს, მერე ისევ შემოდის ჩემს სამუშაო კაბინეტში და მეკითხება, როგორი წარმატებები აქვს ჩვენს შვილს სუფრის ყურძნის ახალი ჯიშების გამოყვანაში. მე ვუხსნი, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, რომ მევენახეობის საკვლევ ინსტიტუტში სა-

იცის. ის კარგად უვლის ვენახს, ხეხილს, დეკორაციულ ნარგავებს. იქნებ არც არის გასაკვირი. ის ხომ წლების მანძილზე ამას ხედავდა ჩემგან.

ასეთია ჩემი ოჯახის დიასახლისი, ჩემი შვილების დედა. მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მან ჩვენი შეუღლების შემდეგ ერთგვარი მსხვერპლი გაიღო: როცა ბავშვები დაიბადნენ, მიატოვა სკოლა, აღსაზრდელები და ოჯახის საქმეში ჩაიძირა.

მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მას უჭირდა ოთხკედელშუა ყოფნა. მას აინტერესებდა ყველაფერი, რითაც ცხოვრობდნენ ადამიანები მის გვერდით. ჩვენ კი შეიძლება ნაკლებად გვაინტერესებდა ის, რითაც ცხოვრობდა იგი.

ის ყოველთვის ჩვენთანაა, მაშინაც კი, როცა ჩვენ შორს ვართ მისგან, ან სხვა ქვეყანაში, ან სხვა ქალაქში. ის ცხოვრობს ჩვენით, ჩემით და ჩვენი ორი ვაჟიშვილით. მაგრამ კიდევ აქვს რაღაც თავისი — ის, რაც ასულდგმულებდა ქალიშვილობაში — ფიქრი პოეზიაზე, ლიტერატურის სიყვარული, ოცნება საზოგადოებრივ სარბიელზე... ყველაფერ ამას ის ახლა ჩვენში ხედავს. ის ჩვენზე მაინც უფრო მეტს ფიქრობს და ალბათ, ამიტომაც ჩვენ გვინდა მეტი ვიფიქროთ მასზე.

* * *

ეს ჭოჭინა ჩემი შვილისაა. მე მას ველი დიდი ხანია, რამდენიმე წელია უკვე. და ახლა ვიცი, რომ ის საცაა მოვა, მოვა და ვიგრძნობ ჩემი ცხოვრების გაგრძელებას.

მე ეს ჭოჭინა საგანგებოდ დავამზადე ჩემი მომავალი შვილისათვის. მე და ჩემი ცოლი ამ დღეებში ველით მას.

ესაა ჩემი სამუშაო —ჭოჭინების დეტალების გამოჩარხვა, შემდეგ ამ ნაწილების აწყობა. და გადის ყოველდღიურად ხის სახარატო საამქროდან ჩემი ნახელავი, რომ სხვების ბავშვებმა სიარული დაიწყონ, ნაბიჯების გაბედული გადადგმა ისწავლონ.

მერე ჩემი შვილიც ამ ჭოჭინათი აიდგამს ფეხს. მე და ჩემი ცოლი განზე გავდგებით და მე ვიამაყებ ჩემი ხელობით. მერე ჩვენ ერთმანეთს შევხედავთ და...

მე ვალიას ალტაის მხარეში შევხვდი და ვიფიქრე: მინდა ჩემს შვილს ასეთი თეთრი სახე ჰქონდეს, ცისფერი თვალები და ოქროსფერი თმა. ვალიასაც მოვეწონე მე, მაზარიანი ბიჭი, თბილისიდან მის მხარეში ჩასული წვევამდელი. შინ დაბრუნებისას მას ჩემი გვარი მივეცი.

ჩვენ ახლა ერთ ფაბრიკაში ვართ. ვალიას ესმის ქართული და ჩემს სახელს უაქცენტოდ ამბობს. ის კარგად მუშაობს, მე მგონი ჩემზე უკეთესად. მას სწრაფი ხელი აქვს და მისი გადაკრული რბილი სავარძლები ყველას მოსწონს.

* * *

ჩვენ ყველაფერი ვიცოდით ერთმანეთის — მე და ქეთევანმა. იმ წელს მარტო ჩვენ ორმა დავამთავრეთ უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი. ქეთევანი პირველი საბჭოთა არქიტექტორი ქალი იყო საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტურ რესპუბლიკაში...

მე ყოველთვის მაოცებდა მისი ნიჭი და დაკვირვება, მაგრამ მაინც არ ვიცოდი, რამდენი ძალა იყო მასში. გარეგნულად სუსტი, მაღალი, თეთრი შუბლით, შუქიანი თვალებით — ასეთი მიყვარდა მე ქეთევანი.





ჩემმა მეუღლემ მალე მიმატოვა, მიმატოვა დროებით, საქმის გამო. ის წავიდა ჭაობიანი კოლხეთის მიწებზე, მკვდარი ადგილების გასაცოცხლებლად. არქიტექტორი ქეთევან სოკოლოვა ექვსი წელი თავს ვერ ანებებდა საქართველოს ამ ლამაზ მხარეს, ნაჭაობარ მიწაზე იბადებოდნენ ახალი სოფლები, დასახლებანი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, საბჭოთა მეურნეობანი.

მე ვიცოდი, როგორ დადიოდა ქეთევანი იმ წლებში: მაღალყელიანი წყალგაუმტარი ჩექმებით, ზოგჯერ ძალიან დაღლილი ის მიდიოდა ჭაობიან თუ ნაჭაობარ მიწაზე. მაგრამ ახლა მე მაინც სულ სხვა ქეთევანს ვიცნობ. ის დედაა ჩემი ერთი ვაჟის. ის შვილია, ძალიან კარგი შვილია ღრმადმოხუცებული დედის. ის ყველაზე ახლობელია ჩემთვის, მაგრამ მე ახლა მაინც სულ სხვა ქეთევანს ვიცნობ.

მას შეუძლია იფიქროს დაუსრულებლად, სანამ მისი ჩანაფიქრი არ იქნება სრულყოფილი. მას შეუძლია იკამათოს ჩემთან, კოლეგებთან დაუსრულებლად, იკამათოს და დაგვაჯეროს თავისი აზრის სისწორეში. მას შეუძლია იაროს ხარაჩოებზე დაუსრულებლად, აუხსნას მშენებლებს რაც მოსწონს, იდავოს, იჩხუბოს კიდეც და თუ სწორად არ კეთდება რაიმე, თავისი ხელით მოანგრიოს. ასეთს ვიცნობ მე დღეს ქეთევანს.

მე მიყვარს იმ ადგილების მონახულება, სადაც დგანან ნაცნობი სახლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ბევრია საქართველოს რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებში. მათი ნახვისას მე ვიგონებ ჩვენს ერთად მუშაობას გორის სასტუმრო „ინტურისტის“ პროექტზე, კურორტ სკურის კეთილმოწყობაზე, ანასეულის ჩაის ინსტიტუტის პროექტზე.

მაგრამ მე უფრო მიყვარს დავყვე თბილისის იმ ქუჩებს, სადაც ქეთევანი უჩემოდ დგას, სადაც მე მისი პროექტების თანაავტორი არა ვარ. და სახლები ბევრს მეუბნებიან. მე ამ სახლებს ვუსმენ: „ძველად ქალები მხოლოდ ოთახების მოწყობაზე ფიქრობდნენ. ახლა ისინი სახლებს ქმნიან.“

ერთერთმა მობინადრემ, რომელიც ქეთევანის პროექტით აგებულ სახლში შესახლდა, თქვა: საცხოვრებელ ბინებს ქალები უნდა აპროექტებდნენო; იქნებ იმიტომ, რომ ქალებს უფრო ეხერხებათ შექმნან მყუდროება. ჩვენ რომ ქალიშვილი გვყავდეს, ასე ვეტყოდით მას და ალბათ, ისიც არქიტექტორი იქნებოდა.

მაგრამ ჩვენ გვყავს ვაჟიშვილი, რომლისთვისაც ამის თქმა არ დაგვჭირვებია. ის მგონი „გვეჯიბრება“ კიდეც დედ-მამას და თბილისის პირობებისათვის მრავალსართულიანი, ცალკე მდგომი სახლის პროექტზე ფიქრობს. ჩვენ ვღელავთ, როგორ განახორციელებს გია ქურდიანი თავის ჩანაფიქრს, ვღელავთ უფრო მეტად, ვიდრე ვღელავდით საკუთარი ჩანაფიქრის განხორციელებისას.

ქეთევანს აქვს ჯილდოები, არქიტექტორთა ნამუშევრების პირველ საკავშირო გამოფენაზე მონაწილეობის სიგელი, მაგრამ ფიქრობს, რომ ჯერ მხოლოდ შემოქმედების შუა გზაზეა.

ქეთევანი იხსენებს ახალგაზრდობას (თუმც ის ყოველთვის ახალგაზრდაა ჩემთვის) და ალბათ, ისე იზამს, როგორც დაიწყო თავიდან — წავა, რამდენიმე წლით მიმატოვებს საქმის გამო, წავა კვლავ კოლხეთში, რომ ახალი, თანამედროვე ქალაქის ტიპის დასახლებანი მოაწყოს.



ფოტო დ. იაკობაშვილის

* * *

ამით ვამთავრებთ ჩვენს სადღესასწაულო რეპორტაჟს, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი მიხეილ ჩართოლანი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი მაქსიმე რამიშვილი, თბილისის ავეჯის ფაბრიკის მუშა რევაზ გიკაშვილი და არქიტექტორი არჩილ ქურდიანი.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

# რატომ?

კომედია 3 მოქმედებად, პროლოგით

(ნაწყვეტი პიესიდან)

(შემოდიან ლევანი და ლილი, რომელიც ორ სასურსათო ჩანთას მოათრევს).

ლ ე ვ ა ნ — (სიცილით) ამ დილით ჩვენი აჩიკო უზარმაზარ თაიგულს მოათრევდა. მიკვირს, რამ დააგლახა ის ბიჭი?

ლ ი ლ ი — შენც ხომ გიყვარს ყვავილები.

ლ ე ვ ა ნ — ვაჟკაცის ხელში? — არა, გენაცვალე! ა, ფული, და შენ თვითონ იყიდე, რაც გესიამოვნება. ხომ არ გწყინს?

ლ ი ლ ი — რა სისულელეა!

ლ ე ვ ა ნ — ამ სურათის ყიდვა როდისღა მოასწარი?

ლ ი ლ ი — შესვენების დროს.

ლ ე ვ ა ნ — ფუტკარი ხარ, ნამდვილი ფუტკარი. გიყურებ და ვფიქრობ: თუა, ნეტავ, ქვეყანაზე ჩემისთანა ბედნიერი კაცი?

ლ ი ლ ი — (სიამოვნებით) ოჰ, ოჰ!

ლ ე ვ ა ნ — არა თუ? ძვირფასი ცოლშვილი, საყვარელი საქმე...

(ლილი სამზარეულოში გადის)

ლ ე ვ ა ნ — ლილი!

ლ ი ლ ი — (გამოდის) სადილი დავდგი გასაცხელებლად.

ლ ე ვ ა ნ — როდის გაამზადე?

ლ ი ლ ი — წუხელ.

ლ ე ვ ა ნ — რა გოგო ხარ, რა გოგო! ჰო, შარვალი გამიუთოვე?

ლ ი ლ ი — ახლავე. (უთო ჩართო).

ლ ე ვ ა ნ — პერანგების საქმე როგორღაა?

ლ ი ლ ი — აგერ! (სკამის ზურგზე უთითებს).

ლ ე ვ ა ნ — როდის მოასწარი?

ლ ი ლ ი — წუხელ. (შარვალს აუთოვებს).

ლ ე ვ ა ნ — რაც მართალია, მართალია, ჩემი ცოლის ხელით გატკიცინებულ საყელოს და გულისპირს სულ სხვა სუნი აქვს.

ლ ი ლ ი — (სიამოვნებით) ოჰ, ოჰ!

ლ ე ვ ა ნ — სიყვარული! მაინც რა არის სიყვარული? რაღაც უმაღლესი, უფაქიზესი! (სავარძლისკენ მიდის).

ლ ი ლ ი — წვები?

ლ ე ვ ა ნ — ჩვენ პატარა დასვენებასაც მოვასწრებთ.

ლ ი ლ ი — სადილი? (იატაკს აპრიალებს).

ლ ე ვ ა ნ — ჰო, ჯობს ბარემ ვისადილოთ და მერე დავისვენოთ. კარგი, მოეშვი ამ ზედმეტ ხეხვა-წმენდას... (ჯდება სკამზე, რომლის ზურგზე დაუთოვებული პერანგებია გადაკიდებული).

ლ ი ლ ი — ოჰ!

ლ ე ვ ა ნ — რა იყო?

ლ ი ლ ი — დაიჭმუჭნა.

ლ ე ვ ა ნ — ეჰ, ქალი ვიყო, მე გავუსვამდი უთოს, მაგრამ...

ლ ი ლ ი — არაფერია, არაფერი, მე თვითონ. (გადის).

ლ ე ვ ა ნ — (გაზეთს ათვალიერებს) ლილი!

(ლილი გამოდის)

ჰა, ჰა, ჰა! ქართველ მძლეოსანთა კიდევ ერთი გამარჯვება. ყოჩაღ, ბიჭებო! არა, რატომ არ უნდა გვყავდეს ჩვენ, აქ მძლეოსანთა გუნდი, ა? სტუდენტობაში პირველი ვიყავი, მაგრამ საქმეს ვერ მივსდიე და... რას დავემგვანე! წაიკითხე?

ლ ი ლ ი — არა.

ლ ე ვ ა ნ — ოჰ! სულ დამავიწყდა, რომ შენ და გაზეთი კონფლიქტში ხართ, (იცინის). გაგეხუმრე, გაგეხუმრე, გინდა წაგიკითხო?

ლ ი ლ ი — (ამთქნარებს) ოჰ, უკაცრავად! (სიცილით) რა პროზაა, არა?

ლ ე ვ ა ნ — (ვარჯიშობს) შენი საქმე მიკვირს: ღამე არ გძინავს, დღე კი ამთქნარებ. წუხელ რომ წვებოდი, გამეღვიძა. საათს დავხედე — ორია. გოგო, მგონი, მღუპავ და პაემანზე დადიხარ.

ლ ი ლ ი — ჰო, ქვაბებთან, სამზარეულოში (იცინის).

ლ ე ვ ა ნ — „ქვაბები", „სამზარეულო"...

(ლილის სადილი გამოაქვს. სადილობენ). დღეს პირი არ დაგიბანია?

ლ ი ლ ი — (სიცილით) მგონი მართლა დამავიწყდა. ოთარიკოს სკოლაში აგვიანდებოდა და...

ლ ე ვ ა ნ — მერე?

ლ ი ლ ი — სარეცხის გახამება და გალილავება, სამზარეულოს მილაგება... კინაღამ სამსახურში დავიგვიანე. ჰო, სასწრაფოდ უნდა დავფინო, დილით ვერ მოვასწარი.

ლ ე ვ ა ნ — დაანებე თავი!

ლ ი ლ ი — სამი დღეა წყალში ყრია.

ლ ე ვ ა ნ — მოიცა, მოიცა, ისადილე, დაისვენე. შენ რომ საქმის ორგანიზაცია გეხერხებოდეს, არც დაიღლებოდი. იცოდე, ზეიმზე პირდაუბანელი არ წამოხვიდე, თავი არ მომჭრა. — ახალი კაბა ჩაიცვი, თორემ იტყვიან: ცოლშვილს ვერ არჩენსო.

ლ ი ლ ი — არ შემიკერია.

ლ ე ვ ა ნ — რატომ?

ლ ი ლ ი — ვერ მოვასწარი.

ლ ე ვ ა ნ — გასაოცარია! (ჭიქაში წყალს ისხამს, მოსვა). უჰ, გამთბარა.

ლ ი ლ ი — ახლავე! (ცივ წყალს მოარბენინებს). თუ გაიძახა, ნეტავი ბავშვი გეოგრაფიის მასწავლებელმა?

ლ ე ვ ა ნ — გაკვეთილი იცოდა?

ლ ი ლ ი — ყველაფერი გავამეორებინე.

ლ ე ვ ა ნ — სკოლაშიც ხომ არ მიგიკითხავს?

ლ ი ლ ი — არ მომიხერხდა. ხვალ მივალ.

ლ ე ვ ა ნ — მითხარი, ძალიან გიყვარს?

ლ ი ლ ი — რა შეკითხვაა?

ლ ე ვ ა ნ — არა, მე უფრო გიყვარვარ, თუ ჩვენი შვილი?

ლ ი ლ ი — (ღიმილით) ღმერთმანი, შენც ბავშვი ხარ. (პაუზა.) მიკვირს, რად არ მიპასუხა?

ლ ე ვ ა ნ — ვინ?

ლ ი ლ ი — ჩემმა პროფესორმა.

ლ ე ვ ა ნ — ძალიან ელოდები?

ლ ი ლ ი — თითქოს სამსჯავროს წინაშე იყოს ჩემი მთელი ამ წლების ნაფიქრი, ნაოცნებარი...

ლ ე ვ ა ნ — გყავს მოყვარული ქმარშვილი, გაქვს ტკბილი ოჯახი, შენ კი...

(შემოდის ოთარი. ჩანთა კუთხეში მიაგდო).

ლ ე ვ ა ნ — ოოო, მოვიდა ჩვენი ვაჟკაცი.

ო თ ა რ ი — დედა, სადილად რა გვაქვს?

ლ ი ლ ი — წვნიანი.

ო თ ა რ ი — ქალების საჭმელი?

ლ ე ვ ა ნ — კატლეტი, კარტოფილის პიურეთი.

ო თ ა რ ი — პიურე!

ლ ი ლ ი — ოთარ!!

ო თ ა რ ი — არ მინდა, არ ვჭამ! ნახავ, შიმშილით რომ გავფშიკავ ფეხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ი ლ ი — აბა, რა გინდა?

ო თ ა რ ი — შემწვარი კარტოფილი.

ლ ე ვ ა ნ — შეუწვი ამ ოხერს და ის იქნება.

ლ ი ლ ი — ახლავე, შვილო! (კარტოფილი გამოაქვს, თლის, ოთარს აკვირდება) ავად ხომ არა ხარ? სიცხე გაქვს?

ლ ე ვ ა ნ — მაგას რა უჭირს, ფეხსაცმელია უკანასკნელ დღეში. ფეხბურთს გადაჰყვა, ხომ?

ო თ ა რ — რომ მოვკვდები, მაშინ აღარც ფეხსაცმლის ყიდვა დაგჭირდებათ.

ლ ი ლ ი — ოთარიკო!

ო თ ა რ — „ოთარიკო, ოთარიკო". კაცისთვის სადილი ვერ გაუმზადებია.!

ლ ე ვ ა ნ — ჰა, ჰა, ჰა!

ლ ი ლ ი — ტანსაცმელი და ფეხსაცმელი გამოიცვალე, ხელპირი დაიბანე.

ო თ ა რ ი — სად არის ფეხსაცმელი?

ლ ი ლ ი — მოძებნე, ოთარიკო.

ო თ ა რ ი — სად არის, სად! (შუა ოთახში ტრიალებს). „მოძებნე, ოთარიკო", „დაისვენე, ოთარიკო", „ჭამე, ოთარიკო", ყველაფერი მე უნდა აგისრულოთ!

ლ ი ლ ი — კარგი, კარგი! (ტახტქვეშ ძვრება, ფეხსაცმელი გამოაქვს).

ლ ე ვ ა ნ — რა ამბავია, რა უბედურებაა! ამოდენა ბიჭი თვითონ ვერ იპოვნის თავის ფეხსაცმელს?

ო თ ა რ — შენთვის თუ ეძებს ხოლმე?

(ოთარი ფეხსაცმელს იცვლის).

ლ ი ლ ი — (ფეხსაცმელს იღებს) ახლავე უნდა შევაკეთებინო.

ლ ე ვ ა ნ — ხელოსანი სადაა?

ლ ი ლ ი — ჩვენს ეზოში.

ლ ე ვ ა ნ — რა გეჩქარება, ხვალ იყოს. ჰო, ჩემს ფეხსაცმელსაც რო გააყოლებდე ხელს, ურიგო არ იქნება. „ქმარი", „შვილი", სულ ჩვენზე ზრუნავს. (ოთარს) მერე, უფასებ?

ლ ი ლ ი — ოთარ, ხელი დაიბანე! (ოთარი ოთახიდან გადის).

ოთარის ხმა — დედაა, საპონი სადაა?

ლ ი ლ ი — სასაპნეში.

ო თ ა რ ი ს ხ მ ა — სასაპნე?

ლ ი ლ ი — პირსაბანზე.

ო თ ა რ ი — სად, პირსაბანზე?

ლ ე ვ ა ნ — ტრაღედია, ტრაღედია, ტრაღედია! (ფიცხად) ოთარ! (ოთარი გამოდის).

ფუჰ, შეგირცხვა თავი! დაუღია პირი და ბღავის! გოგო ხარ, გოგო!

ო თ ა რ ი — (ტირილით) გოგო შენ თვითონ ხარ!

ლ ე ვ ა ნ — ქალაჩუნა, მტირალა.

ო თ ა რ ი — არა ვარ ქალაჩუნა.

ლ ე ვ ა ნ — დედალი, დედალი!

ო თ ა რ ი — არ მინდა დედალი.

ა რ ჩ ი ლ — (შემოდის) ეს რა არეულობაა თქვენთან?

ო თ ა რ ი — „დედალო"...

ა რ ჩ ი ლ — იფ! დედალს რა ჯობს, ისიც მოხარშულს, აგერ 6-6 მანეთი მივეცით.

ლ ე ვ ა ნ — ბაზარზე იყავი?

ა რ ჩ ი ლ — სამსახურიდან გამოვიარეთ. გილოცავთ დღესასწაულს. საჩუქრებს კი საღამოს გადმოგცემთ, საზეიმო ვითარებაში, მართალი გითხრა, ჯერ არც შემირჩევია, ორი საღამო ცეცხლაძესთან გაცნობას მოვანდომე.

ლ ე ვ ა ნ — ვინ ცეცხლაძე? (იცინის) ჰოო... სამზარეულოს გამგე! კიდევ არ დაგვიწყნია?

ლ ი ლ ი — ესე იგი, ნაცნობობა შედგა.

ა რ ჩ ი ლ — ჯერჯერობით მხოლოდ მის საქმიანობას გავეცანი, სამზარეულოს, ანგარიშებს...

ლ ი ლ ი — თვითონ?

ა რ ჩ ი ლ — საქორწილო მოგზაურობაში ყოფილა.

ლ ი ლ ი — (სიცილით) სადაც სამართალია, საჩუქარი იმას უფრო ერგება — ახალდაქორწინებულს.

ა რ ჩ ი ლ — ფიქრი ნუ გაქვს, მაგაზეც ვიზრუნე.

(ლილი გადის და ბრუნდება ტაფით ხელში).

ლ ი ლ ი — ჭამე, შვილო!

ო თ ა რ ი — მე ასეთი კარტოფილი არ მინდა, სულ არ დაბრაწულა.

ლ ი ლ ი — კარგი, ისევ დავდგამ (ტაფა გააქვს), მანამდე ნოტები მონახე.

ო თ ა რ ი — სად მოვნახო, სად!

ლ ე ვ ა ნ — არა, მეორე შვილი ნამდვილად გოგო უნდა ვიყიდო.

ო თ ა რ ი — ფანჯრიდან გადავაგდებ.

ა რ ჩ ი ლ — მაშ, ჩემი ცისია ფანჯრიდან გადავაგდო?

ო თ ა რ — ეგ თქვენი საქმეა, მე კი გოგოებს არც ველაპარაკები.

ა რ ჩ ი ლ — რა დაგიშავეს?

ო თ ა რ — კარგები რომ იყვნენ, მამაჩემი არ გამაბრაზებდა. ერთი ცრემლი რომ გადმომვარდეს, „გოგო, გოგოო", როცა მეფერება, „ვაჟკაცს" მეძახის.

ლ ე ვ ა ნ — ვის ჰგავს ეს ბიჭი?

ო თ ა რ — მამას, ჰო, ჰო, ასე არ ამბობ?

ლ ე ვ ა ნ — (იცინის) ეჰ, უნდა გავიქცე, თორემ აქ, ამ არევ-დარევაში კაცი დაისვენებს? საღამოს სიტყვით გამოვდივარ.

ა რ ჩ ი ლ — მართლა?

ლ ე ვ ა ნ — მე რად უნდა გამოვდიოდე ქალთა შეკრებაზე, მაგრამ აღარ მომეშვნენ.

ა რ ჩ ი ლ — შენი წარმოების ქალებია?

ლ ე ვ ა ნ — და ჩემივე ღონისძიება (ლილის). რა ვქნა, გემსახურებით ქალებს, რაც შემიძლია! ჰო, ჩემი ჰალსტუხი სადაა?

ლ ი ლ ი — შენ არ მოიხსენი?

ლ ე ვ ა ნ — ნეტავი სად ეშმაკშია! (შუა ოთახში ტრიალებს. ლილი ოთახში გარბი-გამორბის. ლევანს ჰალსტუხი გაუკეთა. ოთარს ნოტები მოუნახა. ტაფა შემოიტანა).

ლ ე ვ ა ნ — მივდივარ.

ლ ი ლ ი — სუფთა ცხვირსახოცი?

ლ ე ვ ა ნ ი — სადაა, მერე.

ლ ი ლ ი — კარადაში, თაროზე.

ლ ე ვ ა ნ — რა მოძებნის! (კარისკენ მიდის).

ლ ი ლ ი — მოიცა! (ცხვირსახოცს მოურბენინებს).

ლ ე ვ ა ნ — აბა, კლუბში შევხვდებით ერთმანეთს. შენც ხომ იქნები, არჩილ?

ა რ ჩ ი ლ — აუცილებლად.

ლ ე ვ ა ნ — ჰოდა, მერე ვისროლოთ ქუდი ჭერში.

(ლილი სამზარეულოში გადის. ლევანი კარისკენ გაემართება, შეჩერდება) მინდოდა თავი შემეკავებინა, მაგრამ... არ გრცხვენია, ბიჭო, რომ გაგიშლია დედაკაცივით ენა და სულ სარეცხი და სადილი გაკერია პირზე? გუშინ მმართველთან იყავი, ხომ?

ა რ ჩ ი ლ — ვიყავი.

ლ ე ვ ა ნ — და უმტკიცებდი, რომ კალათბურთის მოედანი არ გვჭირდება.

ა რ ჩ ი ლ — ვუმტკიცებდი, რომ ჩვენთვის პირველ რიგში საჭიროა სამრეცხაო და სხვა კეთილმოწყობა.

ლ ე ვ ა ნ — ესე იგი, სხვა მაღაროებს — ყველაფერი თავმოსაწონი: ნაირნაირი გუნდები, საქალაქო, სარაიონო და რესპუბლიკური შეჯიბრებები. ჩვენ კი კე-თილ-მო-წყობილი სამრეც-ხაო! იმის მაგივრად, რომ კულტურულად დავისვენოთ...

ა რ ჩ ი ლ — ამისათვის საჭიროა თავისუფალი დრო. ესე-იგი, ცხოვრების მოწესრიგება.

ლ ე ვ ა ნ — სულ მოწესრიგება და წესიერება გაკერია პირზე, მაგრამ...

ა რ ჩ ი ლ — ჰო, რა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ე ვ ა ნ — მუშაობაში ტოლი არ გყავს, ჩემი მაღარო ფეხზე დააყენე... ჰოდა, ამავე დროს, რასაც ერთი ხელით აშენებ, მეორეთი ანგრევ.

ა რ ჩ ი ლ — მაინც რას?

ლ ე ვ ა ნ — მეგობრის პრესტიჟს.

ა რ ჩ ი ლ — ესე იგი, უფლება არ მაქვს გამოვთქვა ჩემი აზრი.

ლ ე ვ ა ნ — აზრი, რომელიც ეწინააღმდეგება შენი მეგობრის აზრს, დირექტორის აზრს, მის საქმიანობას... მაგრამ რა გიყო, ძმასავით ვართ შეზრდილები და... როგორ წაგეჩხუბო, ისიც დღევანდელ დღეს? (კარისკენ გაემართა. შემობრუნდა). ოჰ, ამ არევდარევაში სულ გადამავიწყდა. ლილი!

(გამოდის ლილი).

სად არის, თუ იცი ჩემი 8 მარტს წაკითხული მოხსენება?

ლ ი ლ ი — შენს უჯრაში იქნება.

ლ ე ვ ა ნ — ჰო, ჰო! (მაგიდისკენ მიდის) მგონი მოგეწონა, არა?

ლ ი ლ ი — ძალიან.

ლ ე ვ ა ნ — (ხუმრობით) მაშ, დღესაც დაგატკბობ ჩემი მჭერმეტყველობით. (მაგიდის უჯრას აღებს. ქაღალდებს თან ამოჰყვება და იატაკზე ეცემა ცისფერი კონვერტი, რომელსაც ლევანი და ლილი ერთდროულად დასწვდებიან).

ლ ი ლ ი — (კონვერტს იღებს) ჩემი წერილი?

ლ ე ვ ა ნ — ოჰ! (შუბლზე იტკიცავს ხელს) სულ დამავიწყდა.

ლ ი ლ ი — (კითხულობს:) „ჩემო ახალგაზრდა კოლეგავ! მივიღე თქვენი ბარათი. მწერთ, რომ განაგრძობთ თემაზე მუშაობას და მთხოვთ ვიკისრო თქვენი ხელმძღვანელობა, დაგინიშნოთ ჩამოსვლის დრო. სიამოვნებით გისრულებთ თხოვნას! მახსოვს, როგორ არა, თქვენი სადიპლომო ნაშრომი არ იყო რიგითი და ვფიქრობ, საკითხის სათანადო გაღრმავებით და დამუშავებით, შესძლებთ მიაღწიოთ სასურველ შედეგს. მაცნობეთ, როდის შესძლებთ ჩამოსვლას“.

როგორ ველოდი ამ წერილს... ეს კი... რატომ, ლევან?

ლ ე ვ ა ნ — (თავს დაეუფლა) შენივე სიკეთისათვის. სწორედ იმ დღეს გახდი ცუდად... ვიცოდი აგაღელვებდა... შემდეგ კი, ვუცდიდი, როდის მოიკეთებდი... როგორ, არ გჯერა? არა, მითხარი. გჯერა თუ არა?

ლ ი ლ ი — მჯერა. (სამზარეულოში გადის).

ა რ ჩ ი ლ — მაშ მოეწონათ შენი მოხსენება? ერთი აბზაცი მაინც წამიკითხე.

ლ ე ვ ა ნ — სიამოვნებით (კითხულობს): ...დიახ, დღეს, ჩვენს ქვეყანაში ქალისათვის ყველა გზა ხსნილია და არ არსებობს ძალა, რომელიც მის წინსვლას შეაფერხებდა.

მაგრამ შეგვიძლია თუ არა, ვთქვათ, რომ ჩვენში მთლიანად აღმოიფხვრა წარსულის ისეთი მახინჯი გადმონაშთები, როგორიცაა, ვთქვათ, ქალის მონური ფსიქოლოგია, ან მამაკაცის, ასე ვთქვათ, ბატონკაცური დამოკიდებულება ქალის მიმართ? — რა თქმა უნდა არა! და ვართ თუ არა ვალდებული...

(სამზარეულოდან გამოდის ლილი. სარეცხით სავსე ტაშტს აივნისაკენ მიათრევს. კართან ჩაიკეცება. ტაშტი ხელიდან უვარდება და ხმაურით ეცემა ძირს).

ლ ე ვ ა ნ და ა რ ჩ ი ლ — ლილი! (გულშეღონებულ ლილის მისცვივდებიან).

ლ ე ვ ა ნ — ლილი! მიშველეთ!! ლილი! შენ რომ მოგივიდეს რამე, იცოდე თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავ! ლილი! მიშველეთ!!!

ფარდა

## გაუხუნარი მანდილები

ქართული მიწის მადლო, მომკალი,
ან მათქმევინე ლექსი საშენო!
სულში წუნეთელი მიზის ლომქალი
და ვეძებ ფერებს, რომ დავამშვენო.
დიდება მოსავთ წაჯკისს, ვაზლოვანს.
მათთა ასულთა ნათელი მაგზნებს,
როგორც სიმღერის გარიჟრაჟობას,
მე სიყვარულით გავცქერი მათ გზებს.
მშობელი ქვეყნის სწვავდათ ნაღველი,
მიტომ გადიქცნენ მამაც ვაჟებად,
მათ ერთი ჰქონდათ ნატვრა მდაღველი -
მამულის ბედის აკაშკაშება.
და დაიღვენთნენ წმინდა სანთლებად,
შუქად დატოვეს თვისი ქალობა,
მათ გულზე ვარდთა წვიმად ადნებათ
ჩვენი ცისა და მიწის გალობა.

კერის ნათელი ეხურათ ჩაჩქნად,
არად აგდებდნენ ტანჯვას, ჭრილობას,
მათ შემდეგ ბევრი ყვავილი ჩაჭკნა,
დრო ვერ შეეხო მათ ყვავილობას...
მტერთან ჭიდილში, სიკეთედ ხალხის,
ჩვენც, ჩვენც ვიხილეთ ქალი ქართველი,—
სხვა რომ არ იყოს, ჯერ მარტო რად ღირს
იოსებიძე თინას სახელი!
გოგონამ — დარში ღუღუნა მტრედმა —
ავდარში შეძლო გაარწივება,
არ აშინებდა სიკვდილთან შებმა,
ძმათა ტკივილი არ აძინებდა.
დაეცა, მადლმა ქვეყნის ტრფობისა
მარადისობის უკურთხა გზები,
და შორს გაფრინდა სიტყვა „თორტიზა“
იმ კაფანდარა გოგონას ფრთებით...
გვყავდნენ ქალები, გრიგალ-ქარები,
ვეტრფი მათ ხსოვნას მოთინათინეს,
მათ შთამაგონეს მე ეს ბწკარები,
მათ გაუხუნარს ვკოცნი მანდილებს.

ვახტანგ ძნელაძე

## ძმას

და-ძმა ვართ, ერთი რამ გაგვახარებს
და შევწუხდებით ერთი სიცივით,
შენ დედის თვალნი დაგყვა სახსოვრად,
მე კი სიცილი.

გავიდა ხანი, არც ისე მოკლე
და მოგონებას იმიტომ ვბედავ:
სამ თვეს ითვლიდა შენი სიცოცხლე,
დაგტოვა დედამ...

თუ რა დაგვაკლო იმ ცივმა მიწამ,
არავინ იცის, არავინ იცის...
მას შემდეგ მე შენს თვალებს ვიფიცავ,
შენ კი ჩემს სიცილს.

დღეს ჩემს სიხარულს არ აქვს საზღვარი,
თვალცრემლიანი თუმც შემოგყურებ,
შენ ინსტიტუტის შეაღე კარი,
მე გამოვხურე.

მინდა პირდაპირ ასე ვიაროთ,
არ შეგვხვედროდეს გზებზე წვალება,
გზა გაგვინათოს და დაგვიფაროს
დედის თვალებმა.

ანა იმედაძე

## გნატრობ? არა!

გული გულობს.
თვალი მიჭრის.
აზრი მაქვს და ძალა,
რას მკითხულობ!...
ფიქრობ: მიჭირს?
არა!
ქარმა? — კლდე ვარ,
თოვლმა? — მთა ვარ,
ვერ გამტეხა, მხნედ ვარ.
ქალი მე ვარ,
ვდგავარ, დავალ,
მხედავ?
თოვლმა? — მთა ვარ
ქარმა? — არა!
განა ლერწამი ვარ...
ნუ მკითხულობ
წარამარა.
მივალ...
გნატრობ? — არა!
უკან? ბნელა,
წინ ყველაფერს ვხედავ.
მარტო არ ვარ.
ჩემთან? — ყველა.
მხნედ ვარ!

ნაზი თარგამაძე

# გაიხარე, დედის გული!



იგი სამოცდაათი წლისაა, მაგრამ ორმოცდაათსაც არ მისცემ. მაყვალივით შავი თმა აქვს, არც ერთი ნაოჭი სახეზე. ყოველ საღამოს ბანზეა გადმომდგარი. გასცქერის გზას და ახლაც ისევე მოუთმენლად ელის, როგორც ორმოცი წლის წინათ. „ამბობენ, ცოლქმრის სიყვარულს შვილების სიყვარული შუაზე ყოფსო. რა ტყუილი უთქვამთ? ერთ დღეს ნუ მაცოცხლოსო ღმერთმა მურზას შემდეგ. შვილებს კი შემოევლოს ჩემი თავი!“ — ფიქრობს იგი...

და პირველი მურზა შემოაღებს ჭიშკარს, ბებერ ჯიხვივით მოუძღვება შვილებს, შემდეგ მაკინე, მერე ნოდარი, ნინო, გივი, შოთა, ჯუბუ, ბაჯუ, ვალო, ოთარი, იზო, კიკა და გულო. სოფიო დაეშვება კიბეებზე, ქმარს სამუშაო იარაღს ჩამოართმევს, უთუოდ თვითონ დააბანინებს ხელ-პირს, სამუშაო ტანისამოსს გამოუცვლის.

— შრომით მოღლილ კაცს პატივისცემა უნდა, — ამბობს დედა და ყველა მასავით იქცევა. გაიშლება სუფრა. სუფრის თავში ჯერ მურზა დაბრძანდება, შემდეგ — სოფიო. მერე წლოვანების მიხედვით ჩამორიგდებიან. მშობლებს თვალებში შეჰყურებენ შვილები. ლუკმას არავინ აიღებს, თუ პირველად არ გატეხა მამამ. ჭიქას ვერავინ ასწევს, თუ პირველად მამამ არ ასწია. შენაყრდებიან. მურზა ჩუმად ჰაპარებს თვალებს ახალგაზრდებისაკენ, როცა კარგ გუნებაზეა (იგი ყოველთვის კარგ გუნებაზეა, ან რა აქვს საწუხარო!), სიმღერას წამოიწყებს. ახალგაზრდებსაც ეს უნდათ — ხელად გაჩნდება ჭიანური, დოლი, კედლებიც გამხიარულდება და ჭერიც.

დედა სასოებით შესცქერის შვილებს: „მამას გვანან, ენაცვალოთ დედა, მამასავით ვაჟკაცები, შრომისმოყვარენი არიან, მამასავით ყველა მოხდენილად ცეკვავს და მღერის“. განა დედას არ გვანან? მაგრამ სოფიოს უნდა უთუოდ მამას გვანდნენ შვილები...

თითქოს გუშინ იყო, ტირილში ნახა პირველად მურზამ იგი. არც სოფიოს დარჩენია შეუმჩნეველი მოხდენილი ახალგაზრდა, თვალებით რომ სულში ჩაძრომას უპირებდა. მერე ლხინში შეხვდა. მურზას დავლურმა და სიმღერამ სამუდამოდ დაატყვევა ქალის გული. ღამეებს ცრემლში ათენებდა სოფიო. თქმას როგორ გაბედავდა, იგი ხომ აკვანში იყო დანიშნული და სხვაზე ფიქრიც კი დანაშაულად მიაჩნდა...

ერთ შემოდგომის ღამეს, როცა ქარბუქის შიშით ნადირიც ვერ გამოდიოდა ბუნაგიდან, საძინებელ ოთახში შესულ სოფიოს წინ მურზა პაკელიანი აღიმართა.

— ან ჩემი უნდა გახდე, ან ორივენი აქვე მოვკვდებით, — უთხრა მურზამ.

სოფიო შიშისაგან, თუ უფრო სიხარულისაგან უგონოდ მიესვენა მურზას მკერდს. მურზამ ნაბადში სათუთად გაახვია ქალი, ცხენს მოახტა და სოფელ ებუდიდან ეცერისაკენ გააქროლა.

მრავალრიცხოვანი, ოცდაოთხი სულისაგან შემდგარი ოჯახი დახვდა სოფიოს. დედისერთა, ფუფუნებაში აღზრდილმა ქალმა არ იუცხოვა ეს, სწრაფად აუღო ოჯახს ალღო, ყველას გული მოინადირა. განსაკუთრებული ყურადღებიანი იყო დედამთილ-მამამთილის მიმართ. წლითი-წლობით იზრდებოდა ოჯახი. სულ მალე ექვსი ადამიანი შეემატა.

გარდაიცვალა ბაბუა ბათური. ოჯახის უფროსი მურზა გახდა. ახლა უფრო შემჭიდროვდა ოჯახი. ვერც კი წარმოედგინათ ცალკ-ცალკე ცხოვრება, მაგრამ როცა ოჯახი ორმოც სულამდე გაიზარდა, ნელნელა ცალკე დაიწყეს დასახლება. ჭირში თუ ლხინში მაინც ერთად იყვნენ.

მამა-ბიძების მაგალითზე გაიზარდნენ მურზას შვილებიც. გვერდში უდგანან ერთმანეთს, განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ეს ახარებს სოფიოს, მაგრამ ხშირად მაინც უკვნესის გული. იცის დედამ — გადასაფრენად დაზრდილ ბარტყებს ვერაფერი შეაჩერებს და არც სოფიოს ეყოფა ძალა...

პირველი ნოდარი გაიწია. გეგეჭკორის რაიონში, სოფელ ხუნწში დასახლდა. კოლმეურნეობაში მუშაობს, მემინდვრეობის ბრიგადირია. ვალო და შოთა აფხაზეთ-სვანეთში მუშაობენ ხე-ტყის დამზადებაზე, მაკინემ და ნინომ უმაღლესი განათლება მიიღეს, მასწავლებლები არიან ეცერის საშუალო სკოლაში, კიკა ფერმის მუშაკია და მთებში დადის. ჯუბუ მემინდვრეობის მოწინავე ბრიგადირია, გივი — ზოოტექნიკოსი, ხოლო ბაჯუ, ოთარი, იზო და გულო ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებიან. მართალია, დაიქსაქსნენ შვილები, მაგრამ ურთიერთსიყვარული კი არ გაუნელდათ, უფრო გაუძლიერდათ. თვე ისე არ გაივლის, ერთმანეთი არ მოიკითხონ, საჩუქრებით არ ესტუმრონ შორს წასულებს. ზაფხულში მთელი ოჯახი ისევ ერთად იყრის თავს — დედ-მამასთან, მერე კვლავ თავის სამუშაოს უბრუნდებიან.

ისევ ისე დგას სოფიო ბანზე, ისევ ისე მოუთმენლად ელის: ჯერ მურზა შემოაღებს ჭიშკარს, მერე—ნოდარი, მაკინე, ნინო, გივი, შოთა, ჯუბუ, ბაჯუ, ვალო, ოთარი, იზო, კიკა და გულო...

ხარობს კედლები, ხარობს ჭერი!

ოლია გელოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სოფლის გზაზე



მოთხრობა

სიმართლე გითხრათ, ძალიან თავისებური ხალხი ვართ მძღოლები. ვთქვათ, შორეულ რეისზე მიდიხარ მარტოდ-მარტო. კაბინაში, შენს გვერდით ადგილი ცარიელია, ზიხარ ბაიყუშივით და აინუნშიაც არ მოგდის ვიღაც, წეღან რომ მატარებლის გამცილებელივით ხელი აგიწია, ადევნებულმა ქარმა ყურებში მისი ძახილიც ჩაგაწვეთა, მაგრამ გაგიგონია? წარბსაც არ იხრი; „კაცია და გუნება“, არ გააჩერებ. ჰო, არ გააჩერებ, ეს ხომ ავტობუსი არ არის, — სატვირთოა. თუმცა, შენ ხასიათი თქვი, თორემ ერთი კაცი რა ბედენაა, გაჭირდეს, ორსაც ჩაისვამ.

მოასფალტებულ გზაზე მივქრი. მარტო ვმგზავრობ. აგრე იციოდე კილომეტრი გამოვიარე და არავინ შემხვედრია, არავის აუწევია ხელი.

აკი მოგახსენეთ, თავისებურები ვართ-მეთქი მძღოლები, ახლა მე განგებ ვეძებ მგზავრს, თუნდაც ერთს. ცუდად ნუ გამიგებთ, მგზავრი მხოლოდ სასაუბროდ მინდა, მით უმეტეს, თუ კარგი მოსაუბრე შემხვდა.

კაბინის ფანჯრებს იქით გზის მარჯვენა და მარცხენა ნაპირი ერთმანეთს სირბილში ეჯიბრებიან, გარბის ტელეგრაფის ბოძები, ცაცხვის, აკაციის და კაკლის ხეები, ჩამორჩენილი ძაღლები ძუნძულით მისდევენ ცხვრის ფარას, გრიალით მისწრებენ სხვადასხვა მარკის ავტომანქანები.

გული მომდის. რა ღმერთი გაუწყრათ, ხალხმა მგზავრობაზე ხელი ხომ არ აიღო?

დანიშნულ ადგილამდე ჯერ კიდევ შორი მანძილია, რამდენიმე სოფელი უნდა გავიარო კიდევ. გუნებაში ვითვლი მათ სახელებს. ბევრი მათგანი ჩემთვის კარგად ნაცნობია.

იქ, სადაც გზატკეცილს საურმე გზა ჰკვეთს, ვიღაც დავლანდე. გაზი მივუმატე, მანქანა მგონი ჩიტზე უმალ გაფრინდა. გზაჯვარედინზე ცისფერქოლგიანი ქალიშვილი იდგა, ყაყაჩოსფერ კაბას ნიავი უფრიალებდა.

თითქოს დაბარებული ვიყავი, მანქანა მის წინ ისე მოხდენილად დავამუხრუჭე, რომ გულში საკუთარი თავი შევაქე.

როცა გაიგო სად მივდიოდი, გაუხარდა; მახლობელ სოფელში მივდივარო. ადგილი შევთავაზე და კაბინის კარი ფართოდ გავაღე.

მისი სახე ახლოს უფრო მზედაკრული მეჩვენა, არც ხელები ჰქონდა თეთრი.

მარჯვნივ და მარცხნივ კვლავ გარბოდნენ ტელეგრაფის ბოძები, თავს ზემოთ ჭყივილით მიჰქროდნენ შეშინებული ბეღურები.

ოცდახუთი წლის ვარ. შვიდი წელია მძღოლის წიგნაკს ვატარებ. მრავალი კილომეტრი გამივლია, მაგრამ ასეთი გოგონა, რომელიც ერთის შეხედვით გულს აგიძგერებს და რაღაც მოკრძალებას გაგრძნობინებს, ჯერ არ შემხვედრია.

იგი იჯდა ჩუმად. იყურებოდა წინ და უმოწყალოდ აწიწკნიდა წითელ ვარდს ფურცლებს.

მე რაღამ ჩამიგდო ენა? კრიჭაშეკრული ცერად თუ გავხედავდი. ბოლოს სულმა წამძლია და გამბედაობა მოვიკრიბე.

— საიდან მოდიხართ? — როგორც იყო ამოვღერღე და გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო.

ლამაზი თავი ჩემსკენ მოაბრუნა. შავი, ყორნისფერი თმა მოხდენილად შეარხია და სოფლის სახელი მითხრა. ტკბილი ხმა ჰქონდა!

— ამ მხარეს კარგად ვიცნობ. თქვენს სოფელსაც ვიცნობ, — ვცადე საუბრის გაგრძელება.

— მაშ იცნობთ ჩემს სოფელს? — მკითხა მან და დამაკვირდა.

— როგორ არა. მე იქ ამხანაგიც მყავს, მანქანის მძღოლია, კოლმეურნეობაში მუშაობს.

— რა ჰქვია?

— ტარიელი.

— ტარიელი?! — გაიმეორა მან და გაიღიმა, — მართალია, იქ მუშაობს.

— იცნობთ?

— ისე, შორიდან!

— კარგი ბიჭია, კეთილი, მეგობრობა იცის. ოღონდ ერთი ჩვეულება აქვს: ზოგჯერ ტყუილი უყვარს. ხანდახან ისეთს იტყვის, რომ... —თავი გავიქნიე და გრძლად დავუსტვინე,— მოკლედ, კაცმა შეიძლება მოისმინოს, მაგრამ მაშინვე მიხვდები, რომ სტყუის.

— მაინც რა მოგატყუათ?

— რომელი ერთი გითხრათ. აი, მაგალითად... — ყოველ შემთხვევისათვის ერთი-ორჯერ ჩავახველე, სადღაც მანქანა დავამუხრუჭე, ორმოს ავაცილე, — ტარიელი დიდი მატყუარაა. ერთხელ მითხრა... შევჩერდი. გზის მარჯვენა მხარეს წყვილი წითელი ხარი ბალახს სძოვდა, ხარების დანახვამ რაღაც გამახსენა.

— ჰო, ტარიელის ნათქვამიდან ბევრი არ არის დასაჯერი. ამას წინათ თბილისიდან ერთად წამოვედით, ვსაუბრობდით, ვკამათობდით. მისი არაფერი მჯეროდა, ის კი მიმტკიცებდა და რომ ვერ მარწმუნებდა, ჯავრობდა. ბოლოს ტარიელმა თავის თანასოფლელ ქალზე ჩამოაგდო ლაპარაკი. მოხსნა ტყუილების გუდას თავი:

— ჩვენ სოფელში ერთი ქალია, 22-23 წლისა იქნება, — ამბობდა ტარიელი, — ამომავალი მზეა. უმაღლესი სასწავლებელი შარშან დაამთავრა და კოლმეურნეობაში ვეტექიმად დაიწყო მუშაობა. მამა მენახირე ჰყავს, სოფლის ნახირი დაუდის საძოვარზე. ერთ დღეს მენახირე ავად გახდა. სოფელი დილიდან საღამომდე მინდვრად გადიოდა, სახლში მხოლოდ ღრმა მოხუცები რჩებოდნენ. აბა, ვინ მომწყემსავდა ძროხას? ახალგაზრდები კი, ხომ იცით, რა უკადრისები ვართ. ნახირს როგორ მოვმწყემსავთ? ერთი სიტყვით, ნახირი უმწყემსოდ დარჩა.

მეორე დღეს, უთენია, სოფლის ორღობეში ვიღაცის ხმა გაისმა. აქა-იქ აივანზე ხალხი გამოიშალა. კარგად არ იყო გათენებული და უჭირდათ დანახვა, ნეტავი ვინ ითავა ნახირის

წაყვანაო? მენახირე ნახირს თხოულობდა, ეზოებიდან ძროხები გამოიყვანეს; ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ეს ღვთისნიერი ვინ არისო, ზოგიერთი შეშინდა კიდეც, ვინ ოხერია, ემანდ საქონელი არ დაგვიკარგოსო.

ნახირი სოფლის ბოლოს საძოვარზე გაიშალა, ცვრიანი ბალახით გალაღებული წინ მიიწევდა.

საღამოთი, როცა ძროხები ეზოს კართან აბღავლდნენ, დიდი და პატარა მენახირეს დაედო. მაგრამ როგორი იყო გაკვირვება, როცა ძველი მენახირის ნაცვლად, ვაჟურად ჩაცმული მისი ერთად-ერთი ქალიშვილი აღმოჩნდა. შერცხვათ ახალგაზრდებს. ორი კვირის განმავლობაში, სანამ მენახირე კარგად გახდებოდა, მორიგეობით დაჰყავდათ ნახირი.

ასე დაასრულა ტარიელმა თავისი ამბავი: ვერ დავიჯერე. აბა, რა დასაჯერებელია? უმაღლეს დამთავრებულმა ქალმა ნახირი გარეკოს?

...სოფელში შეუმჩნევლად შევსულიყავით. გზებზე ხეების ჩრდილები დაგრძელებულიყვნენ. გომბორის მთებს იქით მზის უკანასკნელი სხივები მეწამულისფრად იწვოდა. მინდოდა, ქალიშვილისათვის მეკითხა, მართალი თუ იყო ტარიელი მეთქი? მაგრამ აღარ დამცალდა.

მანქანის წინ, გზაზე ნახირი მოდიოდა. უკან, გრძელი სახრით ხელში, ზურგზე გუდამოკიდებული მოხუცი მისდევდა, გზას გვიტევდა.

ჩემი მგზავრი წელში გაიმართა.

— აქ გააჩერეთ, უკვე მოვედით!

მანქანა დავამუხრუჭე.

მენახირე ზანტად მიმავალ მაძღარ საქონელს აჩქარებდა. მანქანა გაჩერდა. მოხუცი მთელი ტანით მოტრიალდა ჩემსკენ და ჩამავალი მზის სხივებისაგან ხელით თვალები მოიჩრდილა. კარი გავაღე. ყაყაჩოსფერმა კაბამ მსუბუქად გაიშრიალა. ქალიშვილმა ხელი ჩამომართვა, და იქით წავიდა, საითაც მოხუცი მენახირე იდგა.

— შვილო, თინიკო! შენა ხარ?! — მომესმა მოხუცის ხმა.

არ ვიცი, როდემდე ვიდექი იქ. უცებ რაღაც გამახსენდა. მანქანა მოვმართე, მინდოდა დავწეოდი, რაღაც მეკითხა მისთვის. გვიანი იყო. ძროხების ბღავილი საღამოს ბინდ-ბუნდში იკარგებოდა. აღარც მამაშვილი ჩანდა.

გულდაწყვეტილმა კაბინაში მიმოვიხედე. ფანჯარაში შემოჭრილი ცელქი ნიავი ვარდის ფურცლებს ფანტავდა.

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

# ყველაზე ტკბილი

ვღელავდი, მუდამ ვღელავდი, როდესაც დედა შვილს ეალერსებოდა, გულში ყავდა ჩაკრული, ანდა პატარა მის გვერდით მიცუნცულებდა.

თვალები ცრემლებით მევსებოდა, გული ამოვარდნაზე მქონდა, სათამაშოებით დატვირთული ქალი შინ რომ ბრუნდებოდა. ეს სათამაშოები მას შვილებისათვის მიჰქონდა, რამდენი გრძნობა იყო ჩაქსოვილი ამ პატარა სათამაშოების მყიდველის გულში, ან რა დიდი იყო სიხარული ბავშვებისა!

ვღელავდი, როცა მამას თავის შვილებთან ერთად სასეირნოდ მიმავალს დავინახავდი. გულმოკლული, სევდიანი გავყვებოდი მტვრიან ქუჩას, სადმე, რომელიმე სახლის კუთხეში ჩამოვჯდებოდი ქვაზე ან კიბის საფეხურზე, ვიდრე მეეზოვე ან სახლის პატრონი არ გამომიყვანდა ფიქრებიდან. რა უნდა მექნა, გავყვებოდი ქუჩას, ის დაუსრულებლივ გრძელი იყო, მუდამ მშფოთვარე, ცივი მიუკარებელი...

დედა! ნეტავ მას, ვისაც ჰყავს იგი, ყოველთვის კარგი, ნაზი, მზრუნველი. მთელ შენს სიცოცხლეს ანაცვალებ მის ერთ ღიმილს, ალერსიან სიტყვას.

ვღელავდი, ყოველთვის ვღელავდი, თვალები ცრემლებით მქონდა სავსე, დედისა და შვილის ალერსის შემყურეს. მშურდა, ყოველთვის მშურდა, მამას და შვილს ერთად მიმავალს რომ დავინახავდი. მამა დინჯად მისეირნობდა, სახეზე კმაყოფილების გრძნობა ჰქონდა გამოხატული, პატარა კი ამაყად მიაბიჯებდა; იცოდა, პატრონი ყავდა, მის თავს არავის დააჩაგვრინებდა. მაღაზიის ვიტრინის წინ ხან ერთი სათამაშოს ყიდვას მოისურვებდა, ხან მეორესას; ისიც იცოდა, სურვილს აუსრულებდნენ...

მახსოვდა...

მე ყოველთვის მახსოვდა დედა, მამა, მოხუცი ბებია. მახსოვდა, დილით ადრე, დედა როგორ მივარცხნიდა შავ, ხუჭუჭა თმას, თავის ხელით მაჭმევდა გემრიელ კერძს, ჩამიხუტებდა გულში, მკოცნიდა, მკოცნიდა, მერე ხელიხელ ჩაკიდებულნი დავეშვებოდით კიბეზე და ეზოში სათამაშოდ გამიშვებდა. რა სიხარულით ვხვდებოდი მამას, იგი აუცილებლად მომიტანდა წითელ წაღებს, ლამაზ ჩიტუნას, ფერად ბურთს, შაქარყინულს, ან სხვა რამეს. მეც იქვე, მის ახლოს დავცუნცულებდი, ან კისერზე წამოვასკუპდებოდი და ჰერი! — მთელ ეზოს შემოვირბენდით. ბებოს წითელი ვაშლები, დაშაქრული ჩურჩხელები, მისი თბილი, გამრჯე ხელები!

ვკანკალებდი, ყოველთვის ვკანკალებდი შიშით, თუ ვინმე ბუშლატიანს დავინახავდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მას შეუძლია ცოცხლად შეჭამოს ადამიანი.

თქვენ არ გჯერათ?

ნუ დაიჯერებთ. მე კი ჩემი თვალით ვნახე იმ შავბნელ დროში, თუ როგორ დაჰკრეს ბებოს ხანჯალი თავში, როცა ის მამიკოს მიეშველა. მამა ხომ სამ კაცს ებრძოდა, სამ ბუშლატიანს. მე ისიც მახსოვს, თუ როგორ მიათრევდნენ დედას და მამას სისხლით მოსვრილებს, როგორ ჩასვეს ეტლში... მას შემდეგ ისინი აღარ მინახავს... მთელი ღამე ყმუოდა მურა, ბებია იწვა იატაკზე, არ ინძრეოდა. შემდეგ ბებოც სადღაც წაიღეს მეზობლებმა, დავრჩი მარტო. ვინ იზრუნებდა ჩემთვის? ვის შეტკიოდა გული? ქუჩამ შემიფარა, ქუჩა მზრდიდა. პატარა, სუსტი, გამხდარი ხელები მარჩენდა, ხან წყალს მოვუტანდი ვისმეს, ხან შეშას მოვუგროვებდი...

ერთხელ ვიღაც მამაკაცმა კანფეტი მომაწოდა, შემდეგ მომიალერსა, სადღაც, დიდ სახლში წამიყვანა; იქ ჩემი ტოლები იყვნენ. ახლა სახლიც მქონდა, ტანსაცმელიც, სასმელ-საჭმელიც, მომვლელიც მყავდა... განვლო დრომ, დავჭაბუკდი, ამაყად მივაბიჯებდით ქუჩაში. /

ამოვიდა ახალი მზე... ახლა მეც ვარ ადამიანი, მაქვს ბინა, მყავს მეუღლე და პატარა, სულ პატარა ქალ-ვაჟი.

მაგრამ მაინც მაკლია რაღაც ტკბილი და სასურველი, ალერსიანი, როგორც დილის ნიავი, მჩქეფარე, ვით მთის ნაკადული, სურნელოვანი, როგორც მაისის ვარდი, მხურვალე, როგორც მზის სხივი.

მიმიხვდით, რაც უნდა გითხრათ? მისი ყოველი სიტყვა, რჩევა, დარიგება კარგი მომავლის საწინდარია, არავის არ შეუძლია განიცადოს იმდენი ტანჯვა ჩვენს ოდნავ მწუხარებაზე, იმდენი სიხარული ჩვენს წარმატებაზე, რამდენიც დედამ... ბევრ მამას ალერსი არ ეხერხება, მაგრამ მის გულში რამდენი ზრუნვა ან სიხარულია...

როდესაც ქუჩაში მეგობარს ვხვდები, პირველად მშობლების ავკარგს ვეკითხები. ვღელავ, ყოველთვის ვღელავ, თუ მათ რაიმე უჭირთ, არ რაიმე სიხარული აქვთ.

გაუფრთხილდით მათ, ისინი თქვენთვის ყველაზე ტკბილი და ახლობლები არიან.

ა. ლოლაძე



მატილდა მღებრიშვილი



ჩინელი გმირის შეხვედრა თანასოფლელებთან

# ႫႠႲႨႪႣႠ ႫႶႤႡႰႨႸႥႨႪႨ

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დათვალიერების დროს, ირანის სამხედრო მოსამსახურეთა დელეგაციის წევრებმა, როდესაც სპარსული ხელოვნების განყოფილება ინახულეს, ნაღვლიანად განაცხადეს: ისპაჰანის სასახლეს ალი-კაფუში, ძველი მხატვრობიდან არაფერი შემორჩა, სტიქიამ ჩამორეცხა და საუკუნეებმა თითქმის მთლიანად შთანთქაო. თუ ირანელ სტუმართა ნათქვამი ჭეშმარიტებაა, მაშინ კაცობრიობამ, პირველ რიგში კი ირანელებმა დიდად უნდა უმადლონ ქართველ მხატვარ ქალს — მატილდა ივანეს ასულ მღებრიშვილს, რომელმაც ალი-კაფუს ჩამოქცეული კედლებიდან ფერადებით გადმოიღო რეზა-აბასის ხელით შექმნილი იშვიათი კედლის ფრესკული მოხატულობა და მთლიანი კოლექციის სახით შემოგვინახა. იგი ახლა საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული და თუ მართლა ალი-კაფუში დღეს მათი კვალიც გამქრალა, მაშინ მ. მღებრიშვილის ნაშრომი უდიდეს ისტორიულ ღირებულებას იძენს.

ყველაფერი უბრალოდ მოხდა: მატილდა მღებრიშვილმა (იგი დაიბადა ბათუმში 1905 წელს) 1930 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (ლანსერეს კლასი) და თეირანში გაემგზავრა იქ სამუშაოდ გამწესებულ მეუღლესთან ერთად. სწორედ აქ შეუდგა მხატვარი ქალი სპარსული მინიატურის საუკეთესო ნიმუშების შესწავლას, მისი შედევრების პირდაპირ გადმოღებას.

უპირველეს ყოვლისა, იგი 1931 წელს, რამდენიმე თვით ისპაჰანში ჩავიდა და, სპეციალური ნებართვის შემდეგ, ხელი მიჰყო ალი-კაფუს ფრესკების გადმოხატვას ნატურალური ზომებით.

ოდესღაც დიდებული სასახლე იმ დროს კატასტროფამდე იყო მისული: ჭერიდან წვეთავდა, ბათქაში წამდაუწუმ ცვიოდა, დახეთქილი კედლების ნაპრალებში ქარი ზუზუნებდა და დარბაზებში მტვრის კორიანტელი იდგა. მოთმინებით აღჭურვილი მხატვარი ქალი დილიდან საღამომდე თავაუწევლად მუშაობდა. მატილდამ გუაშით, აკვარელითა და ტემპერით გადმოიღო მე-16-17 საუკუნეებში სპარსეთის შაჰის კარზე მოღვაწე მხატვართა მიერ შექმნილი ფრესკები, რომელთაგან აღსანიშნავია რეზა-აბასის: „მწერალი ქალი“, „არშიყი“, „დები“, „მჯდომარე ფიგურა“, „წარჩინებული და მისი მსახური“, „დიდ ჭურებზე დაყრდნობილი მთვრალი მამაკაცი“, „ცხოველები“ და სხვა.

ისპაჰანიდან თეირანში დაბრუნებულმა მატილდა მღებრიშვილმა შექმნა საკუთარი კომპოზიციის მინიატურები: „ჭაბუკი წიგნით“, „ქალ-ვაჟი“, „გამიჯნურებულნი“, „ორი პოეტი ქალი“, „ახალგაზრდა კრიალოსნით“ და „სპარსული ჩოგანი“. ამ პერიოდის მისი 5 მინიატურა 1938 წელს საბჭოთა კავშირის გრაფიკის გამოფენაზე იყო ექსპონირებული ნიუ-იორკში და უკვალოდ გაჰქრა ისე, რომ ავტორს მისი ასლებიც არ დარჩენია.

მღებრიშვილის ყალამს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ცნობილი სპარსული მინიატურის ზუსტი ასლები. იგი დაინტერესებული იყო ირანელ ხელოსანთა ტიპაჟებით, მკვიდრთა საყოფაცხოვრებო სურათებით, პეიზაჟებით და საუცხოო გრაფიკული და დაფერადებული ჩანახატები გააკეთა. ირანში დროებითი მცხოვრები ქართველი მხატვარი ქალი ადგილობრივ პრესაშიც თანამშრომლობდა რეკლამითა და პლაკატური ნამუშევრებით. ამასთან, თეირანის საბჭოთა კლუბში მღებრიშვილი აფორმებდა სპექტაკლებსა და საღამოებს.

ირანიდან სამშობლოში დაბრუნებულ მ. მღებრიშვილს თბილისის სამხატვრო გალერეაში მოუწყვეს ნამუშევართა გამოფენა. ამ გამოფენამ მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოიცა სპეციალური კატალოგი. შ. ამირანაშვილმა გულთბილი სტატია მიუძღვნა დებიუტანტს, ლ. გუდიაშვილმა

ნ. ფიროსმანის „კალობა“ რესტავრაციამდე





ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა ფრესკული ხელოვნების ოსტატზე და აღნიშნა: „ალი-კაფუს ფრესკებზე მუშაობამ მხატვარს მოუტანა გამარჯვება, იქნებ მისთვის მოულოდნელიც. მიუხედავად ამ ნიმუშების სპეციფიურობისა, მათმა ნახვამ უეჭველად ნაყოფიერი შედეგი გამოიღო მასებისათვის და განსაკუთრებით ჩვენი, ახალგაზრდა მხატვრებისათვის“.



ჩინელი მუშის პორტრეტი

დიდი გემოვნებით დაჯილდოებული, ნიჭიერი მხატვრის ნაშრომები 1934 წელს გამოფინეს მოსკოვში — აღმოსავლეთის კულტურის მუზეუმში. რუსულმა პრესამ დადებითად შეაფასა მღებრიშვილის მოღვაწეობა, ყალამი უქო და მარჯვენა დაულოცა.

1934 წელს მატილდა მღებრიშვილი ჩინეთში გაემგზავრა, იგი სინძიანის პროვინციაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. გამოიყენა რა ირანში დაუფლებული მინიატურული ტექნიკა, მან მთელი რიგი კომპოზიციები შექმნა ჩინურ თემებზე, როგორიცაა: „შემოდგომა ჩინეთში“, „ბაზარი ჩინეთში“

თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრებიდან დღემდე მღებრიშვილს ფუნჯზე სალებავი არ შეუშრია, ყალამი ხელიდან არ გაუშვია, მოლბერტს არ მოსცილებია. იგი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით ქმნის შესანიშნავ მინიატურებს, აღადგენს და აცოცხლებს დაზიანებულ ძველ ტილოებს, „მკურნალობს“ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ექსპონატებს.

ა. ცაჩციშვილი



ნ. ფიროსმანის „კალოობა“
რესტავრაციის შემდეგ

და ჩინელ ტიპაჟთა მთელი სერია. მ. მღებრიშვილმა ჩინეთში შეისწავლა ჩინური მხატვრობა ფუნჯით და ჩინეთის ბაზრისათვის საბჭოთა კავშირში დასამზადებელი ხალიჩების ესკიზებზე მუშაობდა.

მ. მღებრიშვილი სინძიანში მარტო მხატვრობით არ შემოფარგლულა, იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა საბჭოთა მოქალაქეების ბავშვთათვის შექმნილ სკოლაში, ქალაქ კაშგარში, აქ იგი ასწავლიდა ხატვას, ფერწერასა და ძერწვას.

მხატვარმა სამშობლოში დაბრუნებისას ახალი ჩინეთის თემაზე შექმნა მეტად საყურადღებო 20-მდე მინიატურა, რომელთა ნაწილი დღესაც გამოფენილია მოსკოვში აღმოსავლეთის კულტურის მუზეუმში და საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.





მ. მღებრიშვილი. პოლოს თამაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქსენია გოგიავა — „ოქროს წიგნში"

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის დოქტორ ფოლკე როგარდის (შვეცია) ბინაზე სტოკჰოლმში ინახება ე. წ. „ოქროს წიგნი", რომელშიც ჩაწერილია ყველა დროის გამოჩენილი მოჭადრაკეების, საერთაშორისო გროსმაისტერებისა და არბიტრების გვარები. წიგნში მოხსენებულია მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვილჰელმ სტეინიცი და „კომბინაციების ჯადოქარი" ალექსანდრე ალიოხინი, „მომღიმარი გოლიათი" ვასილ სმისლოვი და სიმპატიური დოქტორი მაქს ეივე, მიხეილ ბოტვინიკი და პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ვერა მენჩიკი. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ყოველი კონგრესის შემდეგ „ოქროს წიგნში" ახალი გვერდები ივსება. და აი, ჭადრაკის ისტორიაში პირველად ამ წიგნში ქართველიც მოხვდა—ბულგარეთში გამართულმა კონგრესმა ჩვენი რესპუბლიკის არა ერთგზის ჩემპიონს ქალთა შორის და საკავშირო კატეგორიის მსაჯს ქსენია გოგიავას საერთაშორისო არბიტრის წოდება მიანიჭა.

ქსენია გოგიავა ჭადრაკით ჯერ კიდევ ომამდე დაინტერესდა. იგი დიდ დროს ანდომებდა ოსტატთა პარტიების შესწავლას, ბევრს თამაშობდა სხვადასხვა ტურნირებში. მალე გოგიავა ლილი გელოვანსა და ბარბარე ზარგარიანთან ერთად რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გახდა. 1940 წელს გაიმართა საქართველოს მეექვსე ჩემპიონატი ქალთა შორის. აქ გოგიავამ თავის საჭადრაკო პრაქტიკაში პირველად მიაღწია დიდ წარმატებას. გაასწრო ყველა უმთავრეს მეტოქეს და რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა. პირველმა წარმატებამ მას ფრთები შეასხა და მეტი გულმოდგინებით შეუდგა საჭადრაკო ხელოვნების ათვისებას.

თავისი ძირითადი საჭადრაკო წარმატებები გოგიავამ ომის შემდეგ მოიპოვა. ახალგაზრდა ქალს დიდი სარგებლობა მოუტანა ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობამ. რის შედეგადაც დაიხვეწა მისი ტექნიკა, ხოლო სადებიუტო რეპერტუარი უფრო მრავალფეროვანი გახდა.

საქართველოში დღითიდღე იზრდებოდა ჭადრაკის პოპულარობა, გაძლიერდა ქალთა ტურნირების შემადგენლობაც. გოგიავა არ თმობს პოზიციებს, წარმატებით იგერიებს ახალი თაობის შემოტევას. 1947 წელს მან ლილი გელოვანთან ერთად გაიყო პირველი-მეორე ადგილები რესპუბლიკის ჩემპიონატში. შემდგომ წლებშიც გაგრძელდა ამ უძლიერესი ქართველი მოჭადრაკეების სპორტული „დუელი". 1948 წელს გოგიავამ პირველად მოიპოვა თბილისის ჩემპიონის წოდება, ხოლო 1950 და 1952 წლებში კიდევ ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. ამავე დროს, იგი არა ერთხელ მონაწილეობდა საკავშირო გუნდურ ჩემპიონატებში და კარგ შედეგებს აღწევდა.

დიდხანს ემახსოვრება ქსენია გოგიავას 1953 წელი, როდესაც საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში საუცხოო სტილით დაიკავა პირველი ადგილი და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. საკავშირო ჩემპიონატები ქალთა შორის შემთხვევით როდი იპყრობს ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას. ისინი თავისი შემადგენლობით აღემატებიან ყოველგვარ საერთაშორისო ტურნირებს. საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრა უაღრესად ძნელია და თავისთავად დიდი სპორტული მიღწევაა. ფინალში მონაწილეობა ნიშნავს საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა ავანგარდში მოხვედრას, რის შედეგადაც მოჭადრაკე იმსახურებს საერთაშორისო აღიარებას. გოგიავამ ორჯერ ითამაშა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში, სადაც შეხვდა თანამედროვეობის უძლიერეს მოჭადრაკე ქალებს, მსოფლიო ჩემპიონებს ლიუდმილა რუდენკოს, ოლღა რუბცოვასა და ელისაბედ ბიკოვას, გამოჩენილ ოსტატებს კირა ზვორიკინას, ლარისა ვოლპერტსა და ვალენტინა ბელოვას. ასეთ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში თამაშმა ბევრი რამ შესძინა გოგიავას, მისცა სათანადო გამოცდილება.

ქსენია გოგიავა ბევრჯერ ყოფილა რესპუბლიკური პირველობის მსაჯი, წარმატებით ხელმძღვანელობდა საკავშირო ჩემპიონატებს. ყოველივე ამან საკავშირო საჭადრაკო ფედერაციას საფუძველი მისცა გოგიავასათვის დაევალებია ისეთი მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრების ჩატარება, როგორიც იყო თბილისის საერთაშორისო ტურნირი. გოგიავასა და საქართველოს საჭადრაკო ორგანიზაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს შეჯიბრება, რომელმაც ფართო საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია, სამაგალითოდ ჩატარდა. მან დიდი გამოხმაურება გამოიწვია უცხოეთშიც, კერძოდ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და პოლონეთის საჭადრაკო ჟურნალებმა აღნიშნეს, რომ სამაგალითოდ მიაჩნიათ ტურნირების ისეთი ორგანიზაცია, როგორიც თბილისში მოეწყო.

საქართველოს ოთხგზის და თბილისის სამგზის ჩემპიონი ქსენია გოგიავა თვალსაჩინო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. არის საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის წევრი. 1960 წელს იგი დააჯილდოვეს „წარჩინებული ფიზკულტურელის" სამკერდე ნიშნით.

ქსენია გოგიავას ჯერ კიდევ არ სურს ფარხმალის დაყრა და კვლავინდებურად ბევრს თამაშობს. შარშან მან I-II ადგილები გაიყო თბილისის ჩემპიონატში ლეილა ნაჭყებიასთან ერთად, მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალშიც, ხოლო შემოდგომაზე მიიღო სასიხარულო ცნობა საერთაშორისო არბიტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ასე მოხვდა ქართველი მოჭადრაკე ქალის გვარი საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის „ოქროს წიგნში". ეჭვი არ არის, რომ მომავალში კიდევ არაერთი მოჭადრაკე „მიბაძავს" ქსენია გოგიავას ჩვენი რესპუბლიკიდან და სტოკჰოლმში შენახულ წიგნში მათი გვარებიც ჩაიწერება.

**გ. გამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო ძინძიბაძე

## „გულით გილოცავთ“...

მოსკოვი...

1939 წელი...

კრემლის სასახლე.

მთავრობის ჯილდოების მისაღებად აქ თავი მოეყარათ სახალხო განათლების მუშაკებს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.

დაჯილდოებულთა შორის ისიც იყო, ახალგაზრდა მასწავლებელი საჩხერიდან.

წყვილი, მაჯის სიმსხო ნაწნავი წელს ქვემოთ სწვდებოდა, და ამითაც იქცევდა ყურადღებას ქართველი ქალი კრემლის სასახლეში.

ნინო ღელავდა, სიწითლე შეჰპარვოდა მის სახეს, გული გამალებით უცემდა.

იქ, დარბაზის შუაგულში იდგა მოხუცი კაცი თეთრი წვერითა და კეთილი თვალებით, კაცი საქვეყნოდ ცნობილი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი მიხეილ ივანეს ძე კალინინი.

ნინო მაშინ გამოერკვა, მისი გვარი რომ გამოაცხადეს. არ ახსოვს, როგორ გაიარა მანძილი დარბაზის ბოლოდან მაუდგადაფარებულ მაგიდამდე. ახსოვს: მიხეილ ივანეს ძეს ხელისჩამორთმევა და მამობრივი მზრუნველობით ნათქვამი სიტყვები:

— გულით გილოცავთ მთავრობის ჯილდოს...

კარგად ახსოვს, ისე კარგად, თითქოს ეს ოცდაორი წლის წინათ კი არა, გუშინ ყოფილიყოს.

## 2. ცოტა ბიოგრაფია

ნინო კალვათაში დაიბადა. კალვათა პატარა ლამაზი სოფელია საჩხერის ახლოს.

მამა ღარიბი გლეხი იყო, ოჯახის რჩენა უჭირდა, ამიტომ საშოვარზე დადიოდა. დაბრუნებულს მოჰქონდა ცოტა ფული და ბევრი ახალი ამბები.

ნინოს ახსოვს, როგორ შემოიკრიბებოდნენ ხოლმე მამის გარშემო სოფლის გლეხები. მამა უყვებოდა მათ ახალ ამბებს ბოლშევიკებზე და რევოლუციაზე. კონსტანტინე ძინძიბაძე ვერ მოესწრო ბედნიერ ხანას, მძიმე შრომამ ადრე გასტეხა და 1917 წელს გარდაიცვალა. ოჯახის მოვლა-პატრონობა, სამი გასაზრდელი ბავშვი დააწვა კისერზე დედას.

— დედა სულ ახალგაზრდა იყო მაშინ. რა დასამალია და მთხოვნელიც ბევრი ჰყავდა. დედამ ოჯახს არ უღალატა, სამივენი დაგვზარდა და ფეხზე დაგვაყენა. ძმებმა უმაღლესი დაამთავრეს, მე — პედაგოგიური ტექნიკუმი, — იგონებს ნინო.

პედაგოგიური ტექნიკუმი ნინომ 1930 წელს დაამთავრა ჭიათურაში და ამ დღიდან იწყება მისი მოღვაწეობა სოფელ ჩიხის სკოლაში, სულ მალე საჩხერეში გადმოჰყავთ.

პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა ნინო ძინძიბაძე საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ებმება. 1939 წელს მას ირჩევენ დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარედ. ამავე წელს შედის ნინო კომუნისტური პარტიის რიგებში.

ოცი წელი იმუშავა ნინომ პროფკავშირებში, მაგრამ პედაგოგიური მოღვაწეობა ოდნავადაც კი არ შეუნელებია.

პროფკავშირში მისი ნაყოფიერი მუშაობა აღინიშნა საქარ-



თველოს პროფსაბჭოს სიგელით, ხოლო 1960 წელს ღვაწლმოსილ პედაგოგს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა.

უფრო ადრე — 1949-1950 წლებში ნინო საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა მედლებით: „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“, ხოლო 1954 წელს — „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

## 3. „შვილიშვილთა“ სტუმრობა

იმ დღეს დიდი მზადება ჰქონდათ მესამეკლასელებს. ლექსო კაპანაძე და მიხა გაფრინდაშვილი კარადებს ალაგებდნენ, ნარი გაგნიძე და მარინე ტყემალაძე ხელნაწერ ჟურნალებს ნომრების მიხედვით აწყობდნენ.

ხელნაწერ ჟურნალებს კი ნინო მასწავლებლის კლასი სისტემატურად უშვებს. აი, მაგალითად, ხელნაწერი ჟურნალი „ჩვენ კომუნიზმში ვიცხოვრებთ“ — ლამაზადაა გაფორმებული და აკინძული. მეორე ხელნაწერი ჟურნალი „ჩვენი შთა-

ბეჭდილებანი“ სავსეა საინტერესო მასალებით. მასალებს ბავშვები უხვად აგროვებენ ექსკურსიების დროს.

იმ დღეს ბავშვები ელოდნენ ნინო მასწავლებლის „შვილიშვილებს“.

ასე თვით ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლეებმა დაარქვეს აკაკი წერეთლის სახელობის საშუალო სკოლის თანაკლასელებს. „იმათი მასწავლებელი თამარ ქავთარაძე ნინო მასწავლებლის მოწაფე ყოფილა და ვინაიდან ნინო მასწავლებელი თავის მოწაფეებს შვილებს ეძახის, მოწაფეების მოწაფეები შვილიშვილები იქნებიანო“ — ასე მსჯელობენ ბავშვები.

შეხვედრა მართლაც რომ შესანიშნავად ჩატარდა, „შვილიშვილებმა“ ნინო მასწავლებელს ყვავილთა თაიგულები და თავიანთი ნამუშევრების ალბომი მიართვეს, ალბომის თავფურცელზე ნინოსადმი მიძღვნილი თამარ მასწავლებლის ლექსი ეწერა:

„შენ სიყვარული მასწავლე
ქართული ენის ჩუქურთმის,
თუ ჩემში რამე კარგია
იგი შენს ამაგს ეკუთვნის“.

### 4. ახლის ძიებაში

ჩვენ სკოლის შენობაში შევხვდით ერთმანეთს.

იგი საოცარი ენერგიის ქალია.

გელაპარაკებათ შვილებზე და გულისხმობს მოწაფეებს.

ახალგაზრდული ალტკინებით გიზიარებთ თავის გეგმებს. ათვალიერებთ მოსწავლეთა ნამუშევრებს და გაოცებული რჩებით. გამოცდილი და თავისი საქმის ზედმიწევნით მოყვარული ადამიანი არაფერს არ იშურებს იმისათვის, რათა მისი მოწაფეები განათლებული, კულტურული და მაღალი გემოვნების მქონე მოქალაქენი გამოვიდნენ.

ნინო ძინძიბაძის მოწაფეებმა ჯერ კიდევ II—III კლასში იციან, რას ნიშნავს სიტყვა კომუნიზმი ან პროგრამა, იციან როგორი უნდა იყოს ადამიანი კომუნიზმის დროს.

მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვთა ზნეობრივ აღზრდას სწავლის პროცესში.

ამის შესახებ აი რა მიამბო მან:

„ერთხელ შევდივარ კლასში ზარის წინ და ბავშვებს ვეუბნები: სხვადასხვა მიზეზების გამო მე არ ვიქნები ამ გაკვეთილზე. არ იხმაუროთ, რომ სხვა კლასს ხელი არ შეეშალოს. დამოუკიდებლად იმუშავეთ; დაწერეთ თავისუფალი თემა „ჩვენი სკოლა“.

წერეთ ისე, რომ ერთი მოსწავლე არ ადგეს ადგილიდან, დაივიწყეთ, რომ მასწავლებელი არ არის კლასში. როცა გაკვეთილი დამთავრდება და შემოვალ, მეტყვით, ვინ ვერ შესძლო ამის შესრულება.

ამით მე ორი საქმის გაკეთებას ვფიქრობდი. და ეს ასეც მოხდა. ბავშვებმა იგრძნეს მათდამი ნდობა და პასუხისმგებლობა, მეორე — გაკეთდა დამოუკიდებელი სამუშაო.

უნდა გითხრათ, რომ ტრადიციად შემოვიღეთ თავისუფალ თემებზე მუშაობა და ბევრი რამ შეიძლება საინტერესოც იყოს...“

ვათვალიერებ ბავშვების ნამუშევარს, მასწავლებელს იგი ერთ რვეულში აუკინძავს, წინა ფურცელზე კი თავისი ხელით დაწერილი ახსნა-განმარტება წაუმძღვარებია.

არ შემცდარა ღვაწლმოსილი პედაგოგი. მისი მოსწავლეები უკვე დამოუკიდებლად აზროვნებენ. ზოგიერთების, მაგალითად, გაგნიძის, ტყემალაძის, გაფრინდაშვილისა და კაპანაძის ნამუშევრებში შემოქმედების ელემენტებსაც ნახავთ...

• • •

უყვართ ნინო ძინძიბაძე საჩხერეში მის აღზრდილებს და აღსაზრდელებს, უყვართ აღსაზრდელების მშობლებს, უყვარს მთელ რაიონს, სიყვარულით უძახიან მას „ჩვენი ნინო მასწავლებელი“.

ო. გოგრონიძე



სტივენ ლიკოკი

# როგორ აღვნიშნეთ დედების დღე

### ოჯახის ერთ-ერთი წევრის ნაამბობი

იმ იდეებს შორის, რაც კი ამ ბოლო ხანს წარმოშობილა, საუკეთესოდ მიმაჩნია წელიწადში ერთხელ დედების დღის აღნიშვნა. სულაც არ მიკვირს, რომ თერთმეტი მაისი თანდათან პოპულარული თარიღი ხდება მთელ ამერიკაში და, მჯერა, რომ იგი ინგლისშიც გაიდგამს ფესვებს.

განსაკუთრებით ჩვენი ოჯახის მსგავს დიდ ოჯახებში იკიდებს ფეხს ამგვარი რამ. და, აი, ჩვენ შევთანხმდით, დედების დღე საგანგებოდ აღგვენიშნა. ეს აზრი ძალიან მოგვეწონა. მივილეთ თუ არა ასეთი გადაწყვეტილება, ყველამ ვიგრძენით, რა დიდი ამაგი გაუწევია დედას ჩვენზე წლების მანძილზე, რას არ აკეთებდა და რამდენ მსხვერპლს არ იღებდა ჩვენი გულისთვის.

ამრიგად, გადავწყვიტეთ ეს დღე გადაგვექცია დიდ დღესასწაულად მთელი ჩვენი ოჯახისათვის და ყოველი ღონე გვეხმარა, რომ დედას ბედნიერად ეგრძნო თავი. მამამ გადაწყვიტა სამსახურიდან განთავისუფლებულიყო, რომ მოგვეშველებოდა ამ დღის ჩატარებაში; ჩემმა დამ ანამ და მე გავაცდინეთ კოლეჯი, მერი და ჩემი ძმა ვილიც არ წავიდნენ სკოლაში.

განვიზრახეთ ეს დღე შობის ან რომელიმე სხვა დღესასწაულის მსგავსად ჩაგვეტარებინა, სახლი ყვავილებით მოგვერთო, ბუხრების თავზე ლოზუნგები გაგვეკრა და სხვა მსგავსი რამ გაგვეკეთებინა. ლოზუნგების მომზადება და მორთულობის მოწყობა დედას დავავალეთ, რადგანაც საშობაოდ ყოველთვის ის აკეთებს ხოლმე ამას.

გოგოებმა იფიქრეს, კარგი იქნება, თუ ასეთი დიდი შემთხვევისათვის ყველანი საგანგებოდ გამოვეწყობითო და ორივემ შეიძინა ახალი ქუდები. დედამ გააწყო ეს ქუდები და მეტი შნო და ლაზათი მისცა მათ. მამამ იყიდა აბრეშუმის ჰალსტუხები თავისთვის და ჩვენთვის, ბიჭებისათვის. ამ დღის აღსანიშნავად გვინდოდა დედასთვისაც გვეყიდა ახალი ქუდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას, ნამდვილად, მისი ძველი ნაცრისფერი ქუდი ერჩივნა ახალს; გოგოებმაც თქვეს, რომ იგი ძალიან უხდებოდა დედას.

შევთანხმდით, საუზმის შემდეგ დედას მოვუწყობდით სიურპრიზს; დავიქირავებდით მანქანას და გავასეირნებდით ქალაქგარეთ. დედა საერთოდ ვერ ახერხებს ხოლმე ასეთი იშვიათი სიამოვნების მიღებას იმიტომ, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი შინამოსამსახურის აყვანა შეგვიძლია და იგი თითქმის ყოველთვის დაკავებულია საოჯახო საქმეებით. მერე და ახლა ქალაქგარეთ რა კარგია! სწორედ რომ დიდებული რამ იქნებოდა დედას ასეთ მშვენიერ დილას მანქანით ესეირნა და ესეირნა მრავალი მილის მანძილზე.

მაგრამ სწორედ იმ დილას ჩვენ ცოტათი შევცვალეთ გეგმა. მამას დაებადა აზრი, რომ მანქანით გასეირნებას აჯობებდა დედა სადმე სხვაგან, თუნდაც სათევზაოდ, წაგვეყვანა; რადგანაც მანქანა უკვე ვიქირავეთ და ფულიც გადავიხადეთ, შეგვეძლო მანქანითვე ავსულიყავით მთაში, მდინარეზე. როგორც მამამ თქვა, თუ კაცი მანქანით ისე უბრალოდ მიდის გასასეირნებლად, მას რაღაც უმიზნობის გრძნობა აქვს; მაგრამ თუ კი სათევზაოდ მიდის, მას უკვე გარკვეული მიზანი აქვს და ამიტომ სიამოვნებასაც მეტს იღებს.

ამგვარად, ჩვენ ყველანი დავრწმუნდით, რომ უმჯობესი იყო დედას გარკვეული მიზანი ჰქონოდა; თანაც გამოირკვა, რომ მამას წინადღეს ანკესი ეყიდა, ეს კი ჩვენს მოსაზრებას — სათევზაოდ წავსულიყავით, უფრო მიზანშეწონილად ხდიდა. მამამ თქვა, დედას შეუძლია იხმაროს ეს ანკესი, თუ კი სურსო. კაცმა რომ თქვას, დასძინა მან, იგი სწორედ დედათქვენისათვის ვიყიდეო. ოღონდ, დედამ გვითხრა, მირჩევნია მამას თევზაობას ვუყურო, ვიდრე მე თვითონ ვითევზაოო.

ბოლოს ჩვენ ყველაფერი მოვამზადეთ ექსკურსიისათვის. თუმცა საზეიმო სადილისათვის ვაპირებდით შუადღეზე დაბრუნებას, სწორედ ისე, როგორც შობის ან ახალი წლის დღეებში, დედას მაინც ვთხოვეთ, სენდვიჩები და პატარა საუზმე დაემზადებინა, ვინიცობაა მოგვშივდებოდა. დედამ საუზმე კალათში ჩაალაგა. ყველაფერი მზად იყო, მანქანაში ჩადება-ღა აკლდა.

მაგრამ, დაბეთ, როცა მანქანა კარებზე მოგვადგა, გამოირკვა, რომ შიგ იმდენი ადგილი არ იყო, რამდენიც გვეგონა; ჩვენ ხომ მამის სათევზაო კალათის, ანკესებისა და საუზმის წალება არ გვიფიქრია. ცხადი იყო, რომ ყველანი ვერ მოვთავსდებოდით.

მამამ გამოგვიცხადა: ჩემთვის ნუ შეწუხდებით, მე შემიძლია შინ დავრჩე და მჯერა, რომ შევძლებ ეს დრო ბაღში მუშაობაში მოვკლაო. მან გვითხრა: შინ უამრავი უსუფთაო და მძიმე სამუშაოა, რაც შემიძლია თვითონ გავაკეთოო. ასე, მაგალითად, თვითონ ამოვთხრი ნაგვის ორმოს და მუშის დაქირავება აღარ დამჭირდებაო. ერთი სიტყვით, მან განაცხადა, რომ შინ დარჩებოდა, ჩვენ კი გვთხოვა: იმ ამბავს, რომ მას აგერ უკვე სამი წელია ხეირიანად არც კი დაუსვენია, ხელი არ შეეშალა ჩვენთვის; მას უნდოდა დაუყონებლივ წავსულიყავით, ბედნიერად გვეგრძნო თავი, კარგად გაგვეტარებია ის დღე და მასზე არ გვედარდა. თანაც დასძინა: კაცმა რომ თქვას, სისულელეც კია ფიქრი იმის შესახებ, რომ ჩემთვისაც შეიძლება არსებობდეს რაიმე დღესასწაულიო.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვგრძნობდით, რომ მამის დატოვება არ ივარგებდა; მითუმეტეს, რომ ვიცოდით, თუ დარჩებოდა, რამეს წაახდენდა. გოგოები, ანა და მერი, სიამოვნებით დარჩებოდნენ და მოეხმარებოდნენ კიდევაც შინამოსამსახურეს სადილის მომზადებაში, ოღონდ, გულდასაწყვეტი კი იყო ასეთ მშვენიერ დღეს შინ დარჩენა; მითუმეტეს, რომ მათ ახალი ქუდები ჰქონდათ. მაგრამ მაინც ორივემ განაცხადა: საკმარისია დედამ თუნდაც ერთი სიტყვა გვითხრას, დავრჩებით და ვიმუშავებთო. მე და ვილის შეგვეძლო არ წავსულიყავით, მაგრამ, სამწუხაროდ, სადილის მზადებაში ჩვენ ვერავითარ დახმარებას ვერ გავუწევდით შინამოსამსახურეს.



ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, რომ სახლში დედა დარჩებოდა და ერთს გემრიელად დაისვენებდა, თანაც სადილს მოამზადებდა. გამოირკვა, რომ დედას მაინცდამაინც არც კი უყვარდა თევზაობა; გარდა ამისა, გარეთ ოდნავ გრილოდა, თუმცა სასიამოვნო, მზიანი დღე კი იყო და მამას, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდეც — დედა რომ წამოვიდეს, ვაი თუ გაცივდესო. მან განაცხადა: ჩემს თავს ვერასოდეს ვერ ვაპატიებ, დედა რომ ძალით წავიყვანო ქალაქგარეთ და გავაციოო, მაშინ როდესაც შესანიშნავად შეუძლია სახლში დაისვენოსო. მისი აზრით, ჩვენი ვალი იყო ყოველი ღონე გვეხმარა და ხელი შეგვეწყო დედისთვის, რაც შეიძლებოდა წყნარად ყოფილიყო და დაესვენა ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან ჩვენთან გააკეთა. მამამ განაცხადა, რომ სწორედ ამის გამო გადაწყვიტა სათევზაოდ წასვლა; უნდოდა დედისათვის მცირედი დასვენების საშუალება მიეცა. ჩვენ კი გვითხრა, რომ ახალგაზრდებს იშვიათად ესმით, თუ რას ნიშნავს სიმშვიდე ხანშიშესული ადამიანისათვის. რაც შეეხებოდა თვითონ მას, იგი ჯერ კიდევ იტანდა მოუსვენარ ცხოვრებას; მაგრამ მოხარული იქნებოდა დედას თუ დაიფარავდა ამისაგან.

ბოლოს შევძახეთ: „დედას გაუმარჯოს!“ და დავიძარით. დედა იდგა ვერანდაზე და გვიყურებდა, სანამ თვალს არ მოვეფარეთ. მამა განუწყვეტლივ ხელს უქნევდა, ვიდრე მანქანის კიდეს არ მოარტყა; მაშინ კი თქვა: არა მგონია, დედა კიდევ გვხედავდესო.

და აი, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა სასიამოვნოდ გავატარეთ ის დღე მთებში. მამამ ისეთი უზარმაზარი თევზები დაიჭირა, რომ დარწმუნებული იყო, დედა ვერც კი ამოათრევდა მათ წყლიდან. მე და ვილიც ვთევზაობდით, თუმცა ჩვენ ბევრი ვერა დავიჭირეთ რა. გზაზე გოგოები უამრავ ნაცნობებს შეხვდნენ; მდინარის ნაპირზე რამოდენიმე მეგობარი ყმაწვილი ნახეს და ისაუბრეს; ასე რომ, ჩვენ ყველამ შესანიშნავად გავატარეთ დრო.

საკმაოდ გვიანი იყო შინ რომ დავბრუნდით. ასე, საღამოს შვიდი საათი იქნებოდა. დედა მიმხვდარიყო, რომ დავიგვიანებდით და თადარიგი ისე დაეჭირა, რომ სადილი ჩვენი მოსვლის დროისათვის მოემზადებინა და ცხლად დაგვახვედრა. ეს კია, დედას ჯერ მოუწია მამისათვის პირსახოცი, საპონი და სუფთა ტანსაცმელი გამოეტანა, რადგანაც მამა თევზაობის დროს საშინლად ითხუპნება ხოლმე. ახლა კიდევ გოგოებს მიხედა და ერთხანს საქმე გაუჩნდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი მზად იყო: ჩვენ შემოვუსხედით დიდებულ სუფრას—შემწვარ ინდაურს და მრავალ სხვა რამეს, როგორც შობის დღეს. სადილობის დროს დედას საკმაოდ ხშირად უხდებოდა ადგომა და დაჯდომა, მოჰქონდა და მოჰქონდა, რაც კი დაგვჭირდებოდა. ბოლოს მამამ ეს შენიშნა; დედას უთხრა: ასე არ უნდა იქცეოდე, თავი უნდა დაზოგოო. მერე თვითონ წამოდგა და ბუფეტიდან თხილი გამოიტანა.

სადილობამ კარგა ხანს გასტანა და მხიარულადაც ჩაიარა. სადილი როცა დავამთავრეთ, გვინდოდა დედას სუფრის ალაგებაში და თეფშების დარეცხვაში მივშველებოდით, მაგრამ დედამ ამჯობინა თვითონ აელაგებინა სუფრა და ჩვენც აღარ ჩავაციევდით, რადგან გვინდოდა ერთხელ მაინც აგვესრულებინა მისი სურვილი.

საკმაოდ გვიანი იყო ყველაფერი რომ დასრულდა და, როცა ძილის წინ ყველამ სათითაოდ ვაკოცეთ დედას, მან გვითხრა: ეს დღე ყველაზე არაჩვეულებრივი დღე იყო მთელ ჩემს ცხოვრებაშიო. როგორც შევნიშნე, თვალებზე ცრემლებიც კი ჰქონდა მომდგარი. ამგვარად, ყველამ ვიგრძენით, რომ იმდღევანდელი ამაგი ღირსეულად დაგვიფასდა.

ინგლისურიდან თარგმნა მზია სიხარულიძემ



8771

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამ სურათზე ჟოზეფინა ბეკერი გადაღებულია სამხედრო ფორმაში, რომელსაც იგი ატარებდა მეორე მსოფლიო ომის დროს, იმყოფებოდა რა „თავისუფალი საფრანგეთის" შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში.

ჟილეტ ზიგლერი

# მას იცნობს მსოფლიო

## ჟოზეფინა ბეკერი და მისი თერთმეტი შვილობილი

ჟოზეფინა ბეკერს შევხვდი მაშინვე, როგორც კი დამთავრდა მსახიობთა პროფკავშირის მიერ მოწყობილი საზეიმო საღამო, სადაც იგი რამდენიმე უჩვეულო ნომრით — გაწვრთნილი სპილოებით გამოდიოდა. ის კვლავ დაუბრუნდა პარიზის არტისტულ სამყაროს, დაუბრუნდა სცენას, რომ უზრუნველყოს თავისი თერთმეტი შვილობილის აღზრდა.

სცენის ეს ვარსკვლავი კვლავინდებურად სადა, საყვარელ ქალად დარჩა და სრულიადაც არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც ამ 5 წლის წინათ უკანასკნელად ვუყურავდი მას ტაშს: ისევ ის დახვეწილი სილუეტი, ისეთივე ელვარე ღიმილი, ისეთივე მეგობრული მიღება რასიზმის და ომის წინააღმდეგ მებრძოლი გაზეთების კორესპონდენტებისა.

### „ჩემს ცხოვრებაში ორი სიყვარულია"

ჟოზეფინა ბეკერი სიამოვნებით იგონებს თავის დებიუტს და ზანგურ რევიუს ელისეს მინდვრების თეატრში, რისი წყალობითაც მანამდე უცნობი მსახიობი ერთ საღამოს დიდების მწვერვალზე ავიდა. ევროპის გარშემო ტურნეს დროს მისი ყოველკვირეული ხელფასი, 10 დოლარიდან, რომელსაც ის ბროდვეიზე ცეკვის დროს იღებდა, უცბად 250 დოლარამდე გაიზარდა. სენტ-ლუისში, ჟოზეფინას სამშობლო ქალაქში, მთელი მისი ოჯახი განცვიფრებული იყო ასეთი მოულოდნელი წარმატებით, მაგრამ წარმატებამ პარიზში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, კრიტიკამ და მაყურებელმა მოულოდნელად აღმოაჩინეს ეს არაჩვეულებრივი ქალი, რომელიც ისე მოქნილი იყო, როგორც ლიანა. მას შეეძლო ევლო მოღუნული მუხლებით, შემდეგ უცბად კენგურუსავით შეხტებოდა და იწყებდა ვალსის ცეკვას ჩარლსტონთან შენაცვლებით. რაც შეეხება თვით ჟოზეფინას შთაბეჭდილებებს, იგი მას ასე გადმოგვცემს:

„როდესაც მე საფრანგეთში ჩამოვედი, ყველაზე მეტად გამაკვირვა იმან, რომ თეთრკანიანმა ჩემოდანი ჩამომართვა და გამიღიმა. მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც „ფერადკანიანებმა" უნდა იცოდნენ თავიანთი ადგილი. პარიზში კი მიმიღეს როგორც თავისიანი და ისე მექცეოდნენ როგორც ფრანგ ქალიშვილს"!

შემდეგ ამას მოჰყვა „ფოლი-ბერჟერში" წარმოდგენილი რევიუ, სადაც ჟოზეფინა მღეროდა სიმღერას — „ჩემს ცხოვრებაში ორი სიყვარულია."

ხომ ლამაზია ჩემი სავანა,
მაგრამ სიმართლეს ვერსად დამალავ,
დაე იცოდეს, ვინც ეს არ იცის —
ჩემს გულს ატყვევებს მხოლოდ პარიზი.

„ფოლი-ბერჟერს" მოჰყვა გასტროლები პარიზის კაზინოში, განსაცვიფრებელი კონტრაქტები, ტურნე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში...

ომმა სახელგანთქმულ მსახიობს მოუსწრო მილანდის ძველ ციხე-კოშკში (დორდონის დეპარტამენტი), რომელიც მან დასვენების დროს დაიქირავა. ჟოზეფინა ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, ისე გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო იმ ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელიც მან საცხოვრებელ ადგილად აირჩია. თავისი საგასტროლო მოგზაურობის მეოხებით მას საშუალება ჰქონდა შეესრულებინა მეტად მნიშვნელოვანი დავალებანი. 1945 წელს ლეიტენანტი ბეკერი დააჯილდოვეს ჯვრით — „საბრძოლო დამსახურებისათვის," საპატიო ლეგიონის ორდენით და მედლით" — წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობისათვის."

### მიტოვებულნი

ჟოზეფინას სახე ყველაზე მეტად მაშინ უბრწყინავს, როცა მის ბავშვებზე ესაუბრებიან:

„მე ყოველთვის ვამბობდი, რომ თუ საკუთარი შვილი არ მეყოლება, რამოდენიმე ბავშვს ვიშვილებ-მეთქი. ჩემმა მეუღლემ ჟო ბუიონმა და მე თავდაპირველად გადავწყვიტეთ აგვეყვანა ოთხი სხვადასხვა რასის ბავშვი, რომლებიც შეიყვარებდნენ და გაუგებდნენ ერთმანეთს, შემდეგ ჩვენ კიდევ შევხვდით ობლებს, და ოთხის ნაცვლად შვიდი ბავშვი გაგვიხდა, შემდეგ ცხრა, ბოლოს კი თერთმეტი"!

პირველი ორი ბავშვი აკიო და ჟანო იყო. ჟოზეფინამ ისინი ერთ-ერთი თავის მოგზაურობის დროს ნახა ტოკიოში, მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარში, რომელსაც ქ-ნი სავარა განაგებს. მათგან უფროსი, აკიო — კორეელია, მეორე, ჟანო (მისი ნამდვილი სახელის წარმოთქმა ძნელია) — იაპონელი.

მერე ლუი, ზანგი ბიჭუნა კოლუმბიიდან, და ფინელი იარი, ქერათმიანი პატარა მუსიკოსი, რომელიც სუფთა და ბროლივით წკრიალა ხმით მღერის. მათ მოჰყვებიან ჟანკლოდი, ქრისტიანი და მოიზი, ებრაელი; ისინი ორივენი პარიზში დაიბადნენ და აყვანილნი არიან საზოგადოებრივი თავშესაფრიდან.

მარიანა და ბრაგიმი ალჟირიდან ჩამოიყვანეს, ორივენი იპოვეს ბუჩქებში დამალულნი. არავინ იცის მათი მშობლების ვინაობა. ჟოზეფინა ყოველთვის არიდებდა თავს გოგონების აყვანას, მაგრამ დაინანა ამ ორი ბავშვის დაშორება.

### ერთხელ, შობის წინა დღეს...

კოფი, ბავშვთა შორის ყველაზე შავი, კამერუნიდანაა. დედა გარდაიცვალა, როგორც კი ის დაიბადა, ხოლო მამამ მიატოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარა, წითელკანიანი ბიჭუნა, მექსიკის მთებში დაიბადა, სადაც მისი მშობლები, თავისი წინაპრების მსგავსად, გამოქვაბულში ცხოვრობდნენ. ტომის „დიდმა ბელადმა“ ათობით კილომეტრები გამოიარა, რომ ბავშვი ჩაებარებინა ცნობილი ზანგი მსახიობისათვის, რადგან იცოდა, რომ იგი ბავშვებს იყვანდა დამოუკიდებლად მათი რასობრივი კუთვნილებისა. შემდეგში კი მარას დედამ ბრალი დასდო ჟოზეფინას ბავშვის მოტაცებაში. მაგრამ ბოლოს მაინც დაუტოვა ბავშვი ჟოზეფინას, რომ იგი „ბედნიერი ყოფილიყო“.

მარა, მეათე ბავშვთა შორის, 1 წლის და 6 თვის იყო, აკიო, ყველაზე უფროსი, 8 წლის; თითქოს ოჯახის ზრდა ამით უნდა შეჩერებულიყო, მაგრამ 1959 წელს, შობის წინა დღეს პარიზის ერთ-ერთ სანაგვე ყუთში იპოვეს ახალდაბადებული ბავშვი, რომელიც ბრეტონის საავადმყოფოში მიიყვანეს. ჟოზეფინამ, რომელიც მაშინ ოლიმპიის თეატრში გამოდიოდა, თავი ვერ დააღწია ცდუნებას და თავისთან წაიყვანა პაწაწინა ნოელი.

— რამდენი ბავშვია, უდანაშაულოდ რომ იტანჯება! როგორ მინდა, რომ ყველა ისინი შევიფარო! — ამბობს ჟოზეფინა. —მახსენდება ტაქსის ერთი შოფერი. როცა ის მანქანაში ჩემს ჩემოდნებს აწყობდა, რომ . ლიონის ვაგზალში წავეყვანე, მკითხა:

— მართალია, რომ თქვენ აიყვანეთ ბავშვები საზოგადოებრივი თავშესაფრებიდან? და ისინი თქვენთან დაიტოვეთ? სამუდამოდ შეივრდომეთ?

როდესაც მან ჩემი დადებითი პასუხი მოისმინა, ცრემლმორეულმა მითხრა:

— რასაც თქვენ აკეთებთ, შესანიშნავია, ქალბატონო. მე თვითონ მიგდებული ვარ და ვიცი რა მძიმეა ეს. თავის დროზე მეც მოხარული ვიქნებოდი, რომ თქვენს მსგავს ადამიანს შევხვედროდი...

## ბედნიერების სოფელი

ჟოზეფინას პატარები ცხოვრობენ მის მიერ ომის დასასრულს შეძენილ მილანდის ციხე-კოშკი, რომელიც მან განაახლა. სამუშაოდან ყოველ თავისუფალ წუთს ჟოზეფინა თავის პატარებთან ატარებს. მრავალბავშვიან მყუდრო ოჯახურ ცხოვრებაზე იგი ოცნებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ზანგის პატარა გოგონა, ფეხშიშველი დატანტალებდა სენტ-ლუის ქუჩებში. ჟოს ბავშვობა მართლაც არ იყო ადვილი. მან მუშაობა 7 წლის ასაკიდან დაიწყო. ძიძაობდა იმ მშობლების ბავშვებს, რომლებსაც არ შეეძლოთ მათი მოვლა.

ერთხელ შემთხვევით ჟოზეფინამ მონაწილეობა მიიღო საესტრადო წარმოდგენაში და მას შემდეგ სამუდამოდ შეიყვარა თეატრი. პირველად ეამაყებოდა ის, რომ მშობლებს ეხმარებოდა უმცროსი დებისა და ძმის აღზრდაში, ხოლო შემდეგ ის, რომ შესძლო ბედნიერი მოხუცებულობა შეექმნა თავისი დედისათვის.

მილანდის ციხე-კოშკთან არის ერთი პატარა სოფელი კასტელნო-ფეირაკი, რომელიც 15 წლის წინათ მიატოვეს მცხოვრებლებმა. ახალი პატრონების წყალობით და მათ მიერ მოზიდული მნახველების მეშვეობით, სოფელი ისევ გაცოცხლდა და ახლა იქ სამოცზე მეტი ოჯახი ცხოვრობს. იქ არის დუქნები, თეატრი, სასტუმრო, რომლის ყოველ ოთახს რომელიმე სახელმწიფოს სახელი ჰქვია. ჟოზეფინას ერთ-ერთ დას აქვს საკუთარი საკონდიტრო. 1949 წელს ამ სოფელში ჩამოვიდა ჟოზეფინას დედა და პირველად იხილა თავისი ქალიშვილი სცენაზე. ეს იყო სოფელ კასტელინოს თეატრის სცენა. ეს სოფელი ნამდვილი „ბედნიერების სოფელია“.



ასეთია ჟოზეფინა ბეკერი

შესანიშნავი დედა, სადა, ადამიანური



## „ყოველი ჩემი ბავშვი დიდად მოსიყვარულე და გულისხმიერია“

— მოგვიყევით კიდევ რაიმე თქვენი შვილების შესახებ. როგორ ეწყობიან ისინი ერთმანეთს?

— ისინი მომხიბვლელი არიან და ძალიან უყვართ ერთმანეთი. როდესაც ოჯახში ახალი წევრი მოდის, ბავშვები მაშინვე შემოეხვევიან მას, და ეჭვიანობის ნატამალსაც არ ავლენენ, როდესაც მე მარი ავიყვანე, ექიმი მოვიწვიე; გასინჯვის დროს ბავშვი ატირდა. მაშინ მისმა ძმებმა, რომლებმაც მარი პირველად ნახეს, თავიანთი სათამაშოები მოურბენინეს, რომ როგორმე დაემშვიდებინათ.

ბავშვები მალე შეეჩვივნენ ახალ ცხოვრებას. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ისინი თითქმის ყველა ობლები იყვნენ და ძლიერ პატარები, როდესაც ავიყვანე. მაგრამ ცუდი მოგონებანი სწრაფად ქრებიან. როდესაც მე სახლში ჟან-კლოდი მოვიყვანე,



აკიო



ლუო



იარო



ბრაჰიმი



მარიანა



მიიზო



კოჯო



მარა



ჟანი



ჟან-კლოდი

იგი პირველ ხანებში ხარბად მივარდებოდა საჭმელს და სწრაფად სანსლავდა, იმასაც კი რაც მისთვის არ იყო განკუთვნილი. ამას აკეთებდა იმის შიშით, რომ არ წაერთმიათ მისთვის საჭმელი. მერე ის მიხვდა, რომ ყველა ბავშვს თანაბარი ულუფა ეძლეოდა, რომ იგი არასოდეს აღარ იქნებოდა მშიერი. შემდეგ ჟანი ნაზი და ალერსიანი გახდა თავისი ძმების მიმართ.

მოკლედ, მე გამიმართლა: ყველა ჩემი ბავშვი ძლიერ მოსიყვარულე და გულისხმიერია. როცა მინდა, რომ მათ რაიმე შემისრულონ, საკმარისია დავპირდე, რომ შეუძლიათ ტელეფონით დაგველაპარაკონ ჩვენ — დედას ან მამას.

თუმცა ჟოზეფინა ბეკერი და მისი ქმარი ჟო ბუიონი ახლა ცალცალკე ცხოვრობენ, ბავშვები მაინც აკავშირებთ მათ და ისინი კვლავ რჩებიან მათი ზრუნვის საგნად. ორივე მეუღლის მეგობრებს იმედი აქვთ, რომ ეს განხეთქილება დროებითია.

### ახალი სამყარო მოვა

როცა მიტოვებული ბავშვები იშვილა, ჟოზეფინას უნდოდა, უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელი და ბედნიერი გაეხადა ისინი, მაგრამ ამასთან ერთად სურდა ეჩვენებინა, რომ მისთვის არ არსებობს, „არავითარი რასა, არსებობს ადამიანი", და რომ ყველა ადამიანი, მიუხედავად მისი კანის ფერისა, თანასწორი და ტოლფასოვანია.

ადრეული ბავშვობის ასაკიდან, იმ პერიოდამდე, ვიდრე დიდებას მიაღწევდა, ჟოზეფინა თვითონ იჩაგრებოდა საძულველი რასიზმისაგან, რომელსაც ის ყველგან ხვდებოდა მისი ცხოვრების გზაზე. განსაკუთრებით კი მის სამშობლოში, სადაც ის ხედავდა მხოლოდ გაუგებრობას, ზიზღს და ძალმომრეობას. როცა ჟოზეფინა იგონებს თავისი შავკანიანი ძმების ხვედრს შეერთებულ შტატებში, ხმა უკანკალებს, მაგრამ იქვე დასძენს:

— საჭიროა ყველამ იცოდეს, რომ იქაც არიან ადამიანები, რომლებიც გვითანაგრძნობენ, ჩვენთვის იტანჯებიან: ესენი თეთრკანიანები არიან. ისინი ჩვენთვის და ჩვენთან ერთად იბრძვიან. მათი ვაჟკაცობა უსაზღვროა. ისინიც იტანენ იმ დამცირებას და საფრთხეს, რომელიც ჩვენ გვემუქრება, ილაშქრებენ ათასგვარი უმსგავსოებისა და ცრურწმენის წინააღმდეგ. ვიმედოვნებ, რომ ისინი გაიმარჯვებენ.

ჟოზეფინა გამსჭვალულია მომავლის რწმენით, მას სჯერა, რომ შეიქმნება ის ახალი სამყარო, სადაც ადამიანები იცხოვრებენ, ისე როგორც მის ფრანგულ სოფელში, დორდონის დეპარტამენტში ცხოვრობენ, იცხოვრებენ მეგობრულად, თავიანთი ადამიანური ღირსების სრული შეგნებით, ყოველგვარი ცრურწმენის და ბოროტებისაგან თავისუფალნი. მას ამ იმედს უნერგავს ის ღიმილი, რომელიც მისი 11 შვილობილის სახეს აცისკროვნებს.

**ამას წინათ, ფაშისტური ოკუპაციისაგან საფრანგეთის განთავისუფლების მორიგი წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით, სახელგანთქმული მსახიობი მეორედ დააჯილდოვეს საპატიო ლეგიონის ორდენით, ჯვრით „საბრძოლო დამსახურებისათვის" და მედლით „წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობისათვის".**

# ცნობები საზღვარგარეთიდან

### ამერიკელი ქალები მშვიდობას იცავენ

1961 წლის 1 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში მოეწყო ამერიკელ ქალთა მასობრივი დემონსტრაცია, შემდეგი ლოზუნგებით: „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის!" „ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას!" „მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას". ჯორჯ ვაშინგტონის ძეგლთან შეკრებილი დემონსტრანტები თეთრი სახლისაკენ გაეშურნენ და პრეზიდენტ კენედის ცოლს გადასცეს წერილი, რომელშიც მოუწოდებდნენ მას შეერთებოდა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის მებრძოლ ამერიკელ ქალებს.

„ რა თქმა უნდა, — ნათქვამია წერილში, — ვერც ერთი დედა ვერ იტყვის დღეს, რომ შეასრულა თავისი დედობრივი ვალი, სანამ არ გამოვა იგი სიკვდილის წინააღმდეგ სიცოცხლის დასაცავად, ომის წინააღმდეგ მშვიდობის დასაცავად".

მშვიდობის დაცვისათვის ქალთა დემონსტრაციები იმავე დღეს ამერიკის 25 სხვა ქალაქშიც გაიმართა. ამ დემონსტრაციების მასობრივი ხასიათი მოწმობს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, მშვიდობის დაცვისათვის ამერიკელ ქალთა მოძრაობის შემდგომ გაძლიერებას.

### ინგლისელი ქალები მშვიდობისათვის ბრძოლაში

ლონდონის ხმაურიანი ქუჩა-ფლიტსტრიტი, სადაც მოთავსებულია ცენტრალური გაზეთების რედაქციების უმრავლესობა, 10 ნოემბერს მშვიდობის დაცვისა და გამალებული ატომური შეიარაღების წინააღმდეგ ინგლისელ ქალთა დემონსტრაციის ადგილად იქცა.

ქალთა ჯგუფები, ზოგი მათგანი ბავშვით, მოვიდნენ აქ, რათა მოწოდებით მიემართათ „დეილი ექსპრესის", „დეილი მირორისა" და სხვა გაზეთების რედაქტორებისათვის — ჩაატარონ ფართო კამპანია, რათა ინგლისმა უარი თქვას ატომური იარაღის გამოცდასა და მის დაგროვებაზე.

### ჰოლანდიელი ქალები მოითხოვენ თანასწორუფლებიანობას

1961 წლის ნოემბერში ქალაქ ამსტერდამში ჩატარდა მშრომელ ქალთა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ქალთა შრომის პრობლემებს



ვილმა ესპინ დე კასტრო, კუბელ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარე. კუბის წინააღმდეგ კონტრრევოლუციური აგრესიის დროს მან დარაზმა კუბელ ქალთა მასები ქვეყნის დამოუკიდებლობის, მშვიდობის დაცვისათვის საბრძოლველად.

კონფერენციამ აღნიშნა ქალთა შრომის მძიმე, უთანასწორო პირობების არსებობა ჰოლანდიის საწარმოებში, სადაც ჯერ კიდევ ქალთა საშუალო ხელფასი თანაბარი შრომისათვის შეადგენს მამაკაცის ხელფასის 65-75 პროცენტს.

კონფერენციამ წერილი გაუგზავნა სოციალური საკითხებისა და ჯანმრთელობის მინისტრს, აგრეთვე ჰოლანდიის პარლამენტის წევრებს, რომელშიც მოითხოვს — ბოლო მოეღოს მშრომელ ქალთა უთანასწორო მდგომარეობას ჰოლანდიაში.

კონფერენციამ მოწოდებით მიმართა ყველა ჰოლანდიელ მშრომელს, რათა გაერთიანდნენ ქალთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

### ისე, როგორც 100 წლის წინათ

ტურინში (იტალია) თორმეტი სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით მოწვეულ იქნა ეროვნული კონფერენცია ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე. ეს იყო დიდი მოვლენა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. კონფერენციას მიესალმნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი, მათ შორის იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ტოლიატი.

კონფერენციის ზოგიერთმა ორგანიზატორმა მიზნად დაისახა დაემტკიცებინა, რომ იტალიის გაერთიანების შემდეგ განვლილ 100 წლის მანძილზე ქალთა ემანსიპაციაში დიდი პროგრესი იქნა მიღწეული. მაგრამ ფაქტები მათ წინააღმდეგ მეტყველებდნენ. პირველსავე მოხსენებაში, რომელიც ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორმა ე. გარინმა გააკეთა, ნაჩვენები იყო, რომ საზოგადოებაში ქალთა მდგომარეობა ძირითადად იგივე დარჩა, რაც 100 წლის წინათ იყო, ბევრ შემთხვევაში გაუარესდა კიდეც.

ეს დასკვნა შემდგომმა გამოსვლებმაც დაადასტურეს. რომის უნივერსიტეტის დემოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა ნორა ფედერიჩიმ აღნიშნა, რომ ქალის შრომას მრეწველობის სხვადასხვა დარგში და სოფლის მეურნეობაში თანდათან უფრო მეტი როლი ენიჭება, მაგრამ ქალის ხელფასი მამაკაცის ხელფასთან შედარებით კვლავ შესამჩნევად დაბალია. საბავშვო ბაღების, ბაგების, სკოლების მცირე რაოდენობა, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის დარგში გატარებულ ღონისძიებათა არასაკმარისობა, ქალის, როგორც დედისა და მშრომელის ბედს უფრო მძიმეს ხდის.

პალერმოს უნივერსიტეტის პროფესორმა ე. მორელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ქალები თითქმის გამორიცხული არიან ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან. იტალიაში არ არის და არც ყოფილა არც ერთი ქალი — მინისტრი, ხოლო პარლამენტის წევრ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დეპუტატ ქალთა რაოდენობა უკანასკნელ პერიოდში განუხრელად მცირდება.

ქალთა სრული განთავისუფლება, განაცხადა კონფერენციაზე მწერალმა გუიდო პიოვენმა, შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ახალი საზოგადოების შექმნის გზით, სადაც შრომა დაჰკარგავდა თავის ახლანდელ მძიმე და იძულებით ხასიათს.

მწერალმა ელზა დე ჯორჯმა მგზნებარე მოწოდებით მიმართა ქალებს — აღსდგნენ ომის საშიშროების წინააღმდეგ საბრძოლველად. ქალის განთავისუფლება, რომ ყველგან რეალურ სინამდვილედ იქცეს, საჭიროა საშუდამოდ განდევნონ ომის ღრუბლები.

### იაპონელი დედების მოთხოვნა

იაპონელ დედათა ბოლო კონგრესი თავის მიმართვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიისადმი მოითხოვს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემების განხილვას, მიმართვაში აღნიშნულია, რომ იაპონელ დედებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან თავიანთი შვილების სიცოცხლე. მაგრამ, სამწუხაროდ, იაპონიაც კი, რომელიც ატომური დაბომბვის მსხვერპლი გახდა, იაპონია-ამერიკული „უშიშროების ხელშეკრულების" დადებით დაადგა მილიტარიზმის გზას.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა გენერალური ასამბლეის XV სესიის რეზოლუციას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, იაპონელი დედები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ თუ ყველა სახელმწიფო შეეცდება განახორციელოს ეს რეზოლუცია, მშვიდობა დამყარდება. შექმნილ სერიოზულ ვითარებაში ნათქვამია მიმართვაში, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა სახელმწიფომ შეიგნოს თავისი პასუხისმგებლობა და მიიღოს გადაუდებელი ღონისძიებები საყოველთაო და სრული განიარაღების მისაღწევად.

საბჭოთა მეზღვაურის ჩანაწერიდან

# სპორტი მათი მანერით







ჩვენ, შორეული ცურვის საბჭოთა მეზღვაურები, არაერთხელ დავსწრებივართ სპორტულ შეჯიბრებებს კაპიტალისტურ ქვეყნებში და იმედგაცრუებული და გულდამძიმებული დავბრუნებულვართ უკან. ბურჟუაზიულ სამყაროში სპორტს გამოცლილი აქვს თავისი კეთილშობილური შინაარსი და იგი მოგებისა და გამდიდრების წყაროდ არის ქცეული. მას ბევრი სპორტსმენისათვის მოაქვს მხოლოდ ტანჯვა, დასახიჩრება და ხშირად სიკვდილიც კი.

ერთხელ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენ დავესწარით შეჯიბრებას ჭიდაობაში და აღმაშფოთებელი სანახაობის მოწმე გავხდით. ერთმა მოჭიდავემ მეორეს ყური მოაკვნიტა. როგორც გამოირკვა, აქ ჩვეულებრივი ამბავია ჭიდაობის დროს ერთმანეთისათვის ხელებისა და ფეხების გადამტვრევა, კისრის ამოგდება, ყურის მოჭმა, რინგიდან გადაგდება და სხვა ასეთი რამეები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სპორტი კიდევ უფრო „შორს" წავიდა. აქ ბევრ ველურ სანახაობას სპორტად ასაღებენ. მაგალითად, სპორტად ითვლება ყინულზე გატიტვლებული ჯდომა (ასე ვინც მეტს ხანს გაძლებს, გამარჯვებულის დაფნის გვირგვინს მას მიაკუთვნებენ), წვრილი ცოცხალი თევზების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ყლაპვა, დიდი რაოდენობით ლუდის შესმა და სხვა ამგვარი უცნაურობანი.

ამერიკაში დიდ მოწონებაშია, მაგალითად, ასეთი სანახაობაც: ცირკის არენის შუაგულში დაღვრიან 15-20 სანტიმეტრი სიმაღლის ტალახს. არენაზე შედიან „სპორტსმენები" — 20-25 ქალი თუ კაცი. იწყება სირბილი, მორბენალმა რამდენიმე წრე უნდა შემოირბინოს და ეცადოს მოწინააღმდეგე ტალახში ჩააგდოს. თუ რომელიმე მათგანი დაეცა და წამოდგომა ვერ მოასწრო, თამამად შეიძლება მისი გადათელვა. ასეთი „თამაშის" დროს იშვიათი არ არის სიკვდილის შემთხვევები.

ამას წინათ კილის ნავსადგურის (დასავლეთ გერმანია) სტადიონზე დავესწარით ფეხბურთელ ქალთა გუნდების თამაშს. შეჯიბრება დამთავრდა იმით, რომ ერთ-ერთ ფეხბურთელ ქალს ცხვირპირიდან სისხლი წაავდებინეს და მოედნიდან საკაცით გაიტანეს. ამას მოჰყვა შეჯიბრების დანარჩენ მონაწილეთა შორის მუშტი-კრივი. ეს ველური სანახაობა და ალიაქოთი ძლივს ჩააცხრო პოლიციელთა რაზმმა.

ყველაზე ველური და საზიზღარი სანახაობა, რაც სპორტად არის მიჩნეული ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალთა ჭიდაობაა. აქ, ისე როგორც მამაკაცთა ჭიდაობის დროს, არავითარი ყურადღება არ ექცევა ჭიდაობის ელემენტარული წესების დაცვას.

ჩვენ ვნახეთ პენი ბენერი — ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ჭიდაობაში ქალთა შორის. როგორც გავიგეთ, მას არა ერთი პარტნიორი დაუმახინჯებია. ერთ-ერთი მისი პარტნიორი ლორეინ ჯონსონი მოედნიდან დამახინჯებული და ცოცხალმკვდარი გაიტანეს საკაცით. კეი ნოუბლს, თავის მეორე პარტნიორს, პენი ბენერმა ხელი ამოუგდო. სხედან მაყურებლები, შესცქერიან ამ ველურობას და აღფრთოვანებით ღრიალებენ.

აი რა გვიამბეს პენი ბენერის „კარიერის" შესახებ:

მისი ნამდვილი სახელი და გვარია ანა-მარია კოსტეცკაია. 20 წლისამ დატოვა თავისი სახლი სამხრეთ სანტ-ლუიზში და ოგაიოს შტატში, ქალაქ კოლუმბიაში ჩავიდა. პირველ ხანებში მემანქანედ მუშაობდა. ერთხელ იგი მამაკაცს წაეჩხუბა, ერთი ორი ისე მაგრად სთხლიშა სახეში, რომ ცხვირიდან სისხლი წაავდებინა. ესეც არ აკმარა, მანამდე სცემა ხელებით და ფეხებით, ვიდრე მსხვერპლმა გონება არ დაკარგა და იატაკზე არ გაიშხლართა. ეს უკვე სენსაცია იყო ბურჟუაზიული გაზეთებისათვის. ამის შემდეგ ანა-მარია „პოპულარული" გახდა, მან „გზა გაიკვლია" ცხოვრებაში. „პროფესიის ასამაღლებლად" იგი ქალთა საჭიდაო სკოლაში შევიდა (ასეთი სკოლა არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში), შეისწავლა ჭიდაობის ყველა წესიერი თუ უწესო ილეთი და აი უკვე რამდენიმე წელია შეუბრალებლად ასახიჩრებს პარტნიორებს. ამ საქმეში მას ბადალი არა ჰყავს.

**ვახტანგ ბარათაშვილი,**
შორეული ცურვის ინჟინერ-კაპიტანი.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

ქიმიური მრეწველობის გიგანტურმა განვითარებამ, ხელოვნური და სინთეზური ქსოვილების( ნეილონის, კაპრონის, სილონის და სხვ.), პლასტიკური მასებისა და სხვა ახალი მასალების აღმოჩენამ და სრულყოფამ დიდი გარდატეხა მოახდინა მოდის განვითარებაში.

დიდ გავლენას ახდენს ტანსაცმლის მოდებზე ჩვენი შეხედულებების შეცვლა სილამაზეზე, ადამიანის გარეგნულ მომხიბლაობაზე, რაც ხშირად არის დამოკიდებული ფიზიოლოგიისა და მედიცინის მოთხოვნი-

# მივდიოთ თუ არა მოდას!

ჩვენი წარმოდგენა სხვადასხვა მოხმარების საგნების (და მათ შორის ტანსაცმლის) სილამაზესა და შნოიანობაზე მუდამ ერთნაირი როდია. ჩვენ ვყიდულობთ იმ ნივთებს, იმ კაბებს, ფეხსაცმელებსა და კოსტუმებს, რომლებიც უფრო ლამაზი და თანამედროვე გვეჩვენება. ტანსაცმლის ახალ მოდელებს თვალი ეჩვევა და როდესაც ჩვენ საერთოდ მიღებულ მოდიდან რაიმე მკვეთრ გადახრას ვამჩნევთ, ეს უსიამოვნოდ მოქმედებს მხედველობაზე, როგორც მოძველებული, რაღაც დრომოჭმული, თანამედროვე გემოვნებისათვის და ესთეტიური მოთხოვნილებისათვის შეუფერებელი.

რა არის „მოდა?“

„დროებითი, ცვალებადი კაპრიზი საყოფაცხოვრებო საგნების, ტანსაცმლის მოყვანილობასა და მორთულობაში,“ — ხშირად ასე განმარტავს ამ სიტყვას ლექსიკონი.

და მართლაც, ზოგჯერ ვერც განმარტავ, ვერ მოუძებნი რაიმე დასაბუთებას იმას, თუ რად უდებდნენ ერთ დროს ქალის ტანსაცმელს მხრებზე უზარმაზარ ბამბის ბალიშებს ან რად ატარებდნენ ოდესღაც ქალები კრინოლინს — თვალუწვდენელ ქვედატანებს რკინის რგოლებზე.

მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი მოდა ყოველთვის უაზრო და დაუსაბუთებელია? განა დღევანდელი ჩვენი ჩაცმულობა უფრო მოხერხებული და პრაქტიკული არაა, ვიდრე ის, რომელსაც ჩვენი წინაპრები ატარებდნენ?

ჩვენი ახლანდელი ტანსაცმლის ძირითადი სილუეტი ერთბაშად როდი შექმნილა! ის ნელ-ნელა ყალიბდებოდა. წლების მანძილზე, მოდის თანდათანობით ცვლასთან ერთად. თუ გადავხედავთ უკანასკნელ ათეულ წლების მოდის ჟურნალებს, შევნიშნავთ, რომ ტანსაცმლის ძირითადი ხაზები ნაკლებად განიცდიან ცვლილებას, იცვლება მხოლოდ დეტალები.

ვინ იცის რამდენი ახალი მოდა წარმოშობილა ამ უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე! მათ შორის ბევრი იყო კარგიც და ცუდიც, მოხერხებულიც და არაპრაქტიკულიც, ლამაზიც და ულამაზოც. ატარებდნენ ხან მოკლე, ხან გრძელ, ხან ფართო, ხანაც ვიწრო შარვლებსა და ქვედატანებს, განიერფარფლებიან და კოკროჭინა ქუდებს. ზოგჯერ, ცალკეულ დეტალებში ტანსაცმელი მთლიანად იმეორებდა ძველებური ტანსაცმლის მოდელებს. მაგრამ XX საუკუნის ტანსაცმელს მაინც უეჭველად გამოარჩევთ იმისგან, რომელსაც ატარებდნენ XIX საუკუნეში. ტანსაცმლის სწორედ ეს დამახასიათებელი იერი, მისი საერთო მოხაზულობა მიეკუთვნება არა მოდას, არამედ მოცემული ეპოქის სტილს.

ასეთი სტილის წარმოშობა შემთხვევითი როდია. ის ასახავს იმ ძირეულ ცვლილებებს ადამიანთა გემოვნებასა და მოთხოვნილებებში, რაც თავის მხრივ გამოიწვია სოციალურმა, ეკონომიურმა ძვრებმა და საზოგადოების საყოფაცხოვრებო პირობების შეცვლამ.

სწრაფწარმავალი მოდების განუწყვეტელ ცვლაში მოდური სიახლენი უკვალოდ როდი ქრებიან. ახალი მოდელის არსებითი, ძირითადი ხაზები რჩება, თანდათანობით იხვეწება და სწორედ ეს ჰქმნის ეპოქის დამახასიათებელ სტილს. შემთხვევითი მოდა კი, აი ისეთი, რომელიც უბრალო კაპრიზის მეტს არაფერს ასახავს, ისევე სწრაფად და უკვალოდ ქრება, როგორც წარმოიშობა.

ასე რომ, ტანსაცმლის მოდას ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ საზოგადოების მიერ დროებითად აღიარებული შეხედულება მოდელების, ფერთა შეხამებისა და ქსოვილების სილამაზეზე, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოდა არის საზოგადოებაში ხანმოკლედ გაბატონებული შეხედულება, თავისებური სტანდარტი ესთეტიური მოთხოვნილებისა, რომელსაც ჩვენ ტანსაცმელს ვუყენებთ.

შეიძლება მოვიყვანოთ აუარებელი მაგალითი იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ახალი მოდების წარმოშობაზე სოციალურ-ეკონომიური პირობების შეცვლა.

ლებებზე. მაგალითად, უკანასკნელ ხანს ექიმები დაჟინებით მიგვითითებენ, რომ სიმსუქნე არ არის ჯანმრთელობის ნიშანი და ხშირად ის ზიანსაც აყენებს ადამიანის ორგანიზმს. ამან გარკვეული გავლენა მოახდინა მოდაზე. შეიცვალა ადამიანის გემოვნება. ახლა ზომაზე მეტად მსუქანი ტანი აღარ ითვლება ლამაზად და ქალები და მამაკაცები ცდილობენ სიბერემდე შეინარჩუნონ ტანკენარობა. ამან, რა თქმა უნდა, გამოხატულობა ჰპოვა მოდაშიც.

ბევრი ცვლილება შეიტანა ქალის ტანსაცმელში იმან, რომ ქალების უმრავლესობა ახლა საწარმოო-დაწესებულებებში მუშაობს. ამიტომ შეიძინა ქალის ტანსაცმელმა სისადავე და სიმკაცრე, შეინარჩუნა რა ამავე დროს გამოჭრილობის სინაზე და ქალური დახვეწილობა.

ორმოც წელზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქალებმა უარი თქვეს კორსეტებზე და ამიტომ ამის შემდეგ ქალის ტანსაცმლის კონსტრუქცია გამოდის ტანის ბუნებრივი პროპორციებისაგან, მისი ბუნებრივი, რბილი მოხაზულობისაგან. ეს მიმზიდველია, ჰიგიენური და ყველა ასაკისათვის მისაღები.

მაღალი, წვრილი ქუსლები და გრძელი კაბა მოუხერხებელია ყოველდღე სატარებლად. ამიტომ ასეთი ტუალეტი უფრო საღამოსთვისაა — სათეატრო, სამეჯლისო.

ფართოდ გავრცელდა ე. წ. სპორტული ტიპის კოსტუმები: თავისუფალი, საკმაოდ მოკლე, ისეთი, რომ მოძრაობას არ ზღუდავდეს, პალტო, ქვედატანები და დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები.

ოდესღაც მოდის მიმდევარ მანდილოსნებს შიშის ზარსა სცემდათ სიშავე და ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ მზის სხივებისაგან თავის დასაცავად. აი, მაშინ იყო გასავალში განიერ ფარფლებიანი ქუდები და პატარა ქოლგები, რომლებსაც მოდას აყოლილი ქალები ერთი წამითაც ვერ ელეოდნენ.

მაგრამ გაიარა დრომ და დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი გაიტაცა სპორტმა. ჰაერზე ვარჯიშობამ გარუჯა ყველა და სიშავე მოდაში შემოვიდა! ახლა ის აღარ იყო „მდაბიური“ — როგორც წინათ ამბობდნენ. უცბად გადავიდა მოდიდან ქოლგები, შეიცვალა თხელი წინდების ულიმღამო ფერიც — ახლა წინდებიც მზით გარუჯული კანის ფერისა გახდა.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, მოდის შეცვლას, ახალი ხაზების, სილუეტების, ფასონებისა და ფორმების წარმოშობას ყოველთვის როდი აქვს რაიმე გონივრული მიზეზი, ბუნებრივი ესთეტიური მოთხოვნილება და ნორმალური მისწრაფება მოხერხებული და ლამაზი ტანსაცმლისაკენ.

თუ თვალს გადავავლებთ კაპიტალისტურ ქვეყნების მოდების ჟურნალებს, დავინახავთ, რა სწრაფად ჩნდებოდნენ და პოპულარობასაც აღწევდნენ ულამაზო და ყოვლად მოუხერხებელი მოდური სიახლენი. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოდა მაღალ კლასს ემსახურება. იქ უმრავლესობისათვის მოდურად ჩაცმა თავის გამოჩენის ერთადერთი საშუალებაა და ამიტომ — ცხოვრების არსი და მიზანი! ამიტომ ამ ადამიანებისათვის, ბუნებრივია, რომ მოდის ყოველი შეცვლა, მისი ყოველგვარი კაპრიზი, ყოველი ექსტრავაგანტური სიახლე არის კიდევ ერთი საშუალება საზოგადოების ყურადღების მისაქცევად. გასაგებია, რომ მრეწველები, მოდელების სახლთა პატრონები, მაღაზიებისა და ფირმების მფლობელნი ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ გაალვიძონ ეს არაჯანსაღი ინტერესი და წამდაუწუმ რეკლამას უკეთებენ რაიმე მოდელს, უკვეთავენ ექსტრავაგანტურ სიახლეებს თავიანთ მხატვრებსა და მოდელიორებს.

მოდის შეცვლას ხშირად იწვევს სურვილი — შევცვალოთ, განვაახლოთ ნივთები, რომლებიც გარს გვახვევია. ზოგჯერ, მაგალითად, ჩვენ ვცვლით შპალერს ან ხელახლა ვღებავთ არამარტო იმიტომ, რომ შპალერი დაიხა ან გამოხუნდა, არამედ ამიტომ, რომ უბრალოდ მოგვბეზრდა. ეს ბუნებრივი და გასაგებია.

არსებობს მოდა ერთი—სტიქიურად წარმოშობილი, რომელსაც იწვევს გატაცება რაღაც ზეორიგინალურით, უჩვეულო ფორმით ან ნახატით, და მეორეც — მოხერხებული, პრაქტიკული. პირველი მათგანი სწრაფწარმავალია, მეორე კი მტკიცედ მკვიდრდება ყოფაცხოვრებაში და დიდხანს ძლებს.

ჩვენ უნდა შეგვეძლოს გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ეს ორი რამ.

განა შემთხვევითი და ხანმოკლე მოდის მაგალითი არაა წინანდელი გატაცება შავქუსლიანი და ნაკერიანი წინდებით? ახლა ვერც კი ახსნი — რა იყო ამ გატაცების მიზეზი. შავი ქუსლი არამარტო უხეშ, მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა ფეხის ფერთან, არამედ აძნელებდა კიდეც ფეხსაცმლის შერჩევას. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს მოდა ისევე სწრაფად გაჰქრა, როგორც შემოვიდა.

კიდევ კარგი, ამ მოდის ხარჯი ჩვენს ქალებსა და ქალიშვილებს არც ისე ძვირი დაუჯდათ. თორემ ამ დაუფიქრებელმა გატაცებამ არაჩვეულებრივითა და ზემოდურით შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს თქვენს ბიუჯეტს, იმაზე თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ ეს თქვენს ცუდ გემოვნებაზეც მიუთითებს.

„ესე იგი, გამოდის,—შეიძლება თქვას ვინმემ, — რომ არ უნდა მივდიოთ მოდას?“.

როგორ არა! ოღონდ გონივრულად. ოღონდ ისე, რომ თავი არ გავიბრიყვოთ, არ გამოვეკიდოთ ყოველგვარ სიახლეს — გვიხდება თუ არ გვიხდება. უნდა შევძლოთ ღირსეულად შევაფასოთ მოდელიორების მიერ შემოთავაზებული სიახლენი, მითუმეტეს, რომ ყველაფერი მოდური არ არის ყოველთვის ლამაზი და ყველას ერთნაირად არ შვენის. ორი მოდურად ჩაცმული ადამიანიდან ერთი შეიძლება უშნოდ და უგემოვნოდ იყოს ჩაცმული, მეორე კი — კოხტად და გემოვნებით.

მოდა განსაზღვრავს ტანსაცმლის ძირითად ხაზებს, მის საერთო მოხაზულობას, იმას, რასაც პროფესიონალები „სილუეტს“ უწოდებენ. ხოლო ყველა ამ სილუეტის შიგნით არსებობს ძალიან ბევრი სხვადასხვანაირი ფასონი. ეს ფასონები და ფერთა შეხამებები კი არ შეიძლება იყოს ერთნაირად კარგი, ერთნაირად მისაღები ყველა ასაკის ადამიანებისათვის, მაღლებისათვის და დაბლებისათვის, ქერა და შავგვრემანისათვის, ჩრდილოეთელებისა და სამხრეთელებისათვის.

ჰოდა, აი, საჭიროა შევიტანოთ ისეთი შესწორებები, ისე მივუყენოთ ჩვენს გარეგნობას ესა თუ ის ფასონი, რომ არამარტო მოდაზე ვიყოთ ჩაცმული, არამედ გემოვნებითაც.

ყველას შეუძლია განივითაროს გემოვნება ისე, რომ არ დაუშვას უგემოვნება ყოფაცხოვრებაში, გარეგნობასა და ტანსაცმელში.

ზოგი ფიქრობს, რომ არამც თუ მოდაზე, არამედ უბრალოდ გემოვნებით ჩაცმას [illegible] ოდნავი ყურადღებაც კი საკუთარი გარეგნობისადმი „მეშჩანური“ და „არასერიოზულია“. თავის დაუდევრობას ჩაცმულობაში ეს ადამიანი დიდ სიკეთედ თვლის, ხოლო ჩვეულებრივ, ნორმალურ ინტერესს ტანსაცმლისადმი — მეშჩანებისა და „სტილიაგების“ ხვედრად.

ეჭვს გარეშეა, რომ ზედმეტი ინტერესი ტანსაცმლისადმი, გადაჭარბებული ზრუნვა საკუთარ გარეგნობაზე არასასიამოვნოა; მაგრამ ცხვირაბზუება ყოფაცხოვრების კულტურისადმი, არავისთვის საჭირო ასკეტიზმი ასევე არაბუნებრივი და მოგონილია.

რალას ნიშნავს მეშჩანური გემოვნება (ან უფრო სწორად რომ ვთქვათ უგემოვნობა?) ეს არის მისწრაფება ყველაფერი „შეალამაზო“, გააფუშფუშო, მიდრეკილება უხვ, ზედმეტ მორთულობებისადმი, უმიზეზოდ გატაცება ბაფთებით, არშიებით, ლენტებით. ხომ შეგინიშნავთ, რა არასასიამოვნოა, როცა ქალს უგემოვნოდ აცვია: კარიკატურულად გადატვირთული კაბა მძივებით, ღილებით, ნაკეცებით, ვოლანებით, ჯიბეებით, მანჟეტებით და თუ ამას თან ახლავს ხელზე აჩონჩხლილი სამაჯურები, ბეჭდები, საათი, საყურეები და ბრჭყვიალა სარჭები, ერთი სიტყვით, სულ სხვადასხვა სტილის მორთულობის ნივთები—მართლაც მძიმე სანახავია!

ამ მეშჩანური გემოვნების გამოვლენაში ყოველთვის არის რაღაც დრომოჭმული, რადგან თანამედროვე ტანსაცმელში ყოველთვის ბატონობს უფრო სადა, უბრალო, მკაცრი ხაზები და ფასონები და ამაშია სწორედ მისი მთავარი მიმზიდველობა.

„სტილიაგებს“ ცუდი გემოვნება აიძულებთ ჩაიცვან ისე, რომ ყველას თვალი წამოთხარონ ზემოდური ხაზებითა და ფასონებით, ჭახჭახა ფერებით და არაჩვეულებრივი მოდელებით: თუ ჰალსტუხი ჭრელი უკეთიათ — ესე იგი უნდა იყოს თვალისმომჭრელი ზიზილ-პიპილო, თუ პიჯაკის სახელო მოკლეა მოდაში, მაშინ ამათ მაჯაზე ოთხი თითი ზევით ექნებათ.

ზომიერად მოდური კაბა, რომელიც შეფარდებულია თქვენი ცხოვრების პირობებთან და თქვენი გარეგნობის თავისებურებებთან, ყოველთვის ლამაზი და პრაქტიკულია.

აი, ამის თქმა გვსურდა ამ ჩვენს მოკლე, ზოგად შენიშვნებში მოდისა და მოდური ჩაცმისადმი სწორი დამოკიდებულების შესახებ.

რედაქტორი თ. აბაშმაძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/II-62 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.

ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.

შეკვეთის № 211 უე 03153

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали“.

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ელისო მაჟაშვილი

# იუმორი

ორივე თვალი დაუდგეს ამის გამომშვებს,
ორივეზე არ წამსვლია თვლები?!..



შ ე ხ ვ ე დ რ ა

ნ 116/114

